# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№110 (24.990) შაბათი, 8 - 10 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

## კრიალოსანი უსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ესტონელ კოლეგასთან ერთად იყო თანათავმჯდომარე იმ დისკუსიისა, რომელიც ეხებოდა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხს ევროპაში, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის სამიტის ფარგლებში, პრაღაში გამართულ შეხვედრაზე საუბრისას. „ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია იმის, რომ საქართველო ევროპული ოჯახის განუყოფელი ნაწილია და საქართველოს ამ საერთო ოჯახში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა“, - აღნიშნა მან.

* * *

უკრაინაში მიმდინარე ომი და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის დაძაბული ურთიერთობები წარმოადგენს უსაფრთხოების დიდ გამოწვევას სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის, - ამის შესახებ ანალიტიკური ცენტრი „ჯეოქეისის“ მკვლევარმა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ნიკოლოზ ხატიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, „ამ ეტაპზე, საქართველოს სამივე ქვეყანასთან ჩამოყალიბებული კავშირები ისტორიულ მაქსიმუმზეა. ეს მოცემულობა ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას, რომ საქართველო გახდეს რეგიონული მშვიდობის ხელშემწყობი ქვეყანა, სადაც თბილისი გახდება ერთგვარი მოლაპარაკებების არენა სომხეთისა და აზერბაიჯანის მედიაციისთვის“.

* * *

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს შეიარაღების კონტროლისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, ელჩ ბონი დ. ჯენკინსს უმასპინძლა. ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, შეხვედრაზე საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, თავდაცვის ძალებში განხორციელებული რეფორმები, შეიარაღებისა და ტექნიკის განახლების კუთხით გადადგმული ნაბიჯები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

* * *

ნინო ლომჯარია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ გასული წლის ანგარიშით პარლამენტში წარსდგა. სახალხო დამცველმა 2021 წელს მოამზადა და სახელმწიფო უწყებებს მიმართა 67 წინადადებით. 2021 წლის განმავლობაში მომზადდა 20 სპეციალური ანგარიში, 17 კონსტიტუციური სარჩელი და 4 კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის. ლომჯარიას ინფორმაციით, 2021 წლის განმავლობაში გამოვლენილია დისკრიმინაციის 161 ახალი შემთხვევა, საიდანაც ყველაზე მეტი - 17% პოლიტიკური შეხედულების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს შეეხებოდა.

მოამზადა
ია შველიძემ

# მომავალი განათლებაშია

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

*2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მეკეიძეების საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი როლანდ შავაძე გახდა*

ახალგაზრდა პედაგოგი აქტიურადაა ჩართული ქვეყანაში თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ განათლების მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებსა და პროექტებში, თანამედროვე და ინოვაციური მიდგომები კი, რომელსაც იყენებს, განსაკუთრებულს ხდის მოსწავლეებთან მის ურთიერთობას.

როლანდ შავაძე 8 წელია პედაგოგია და მისი ყოველი საგაკვეთილო პროცესი, გარდა ინგლისური ენის შესწავლისა, ეთმობა მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე მუშაობას. ცდილობს, აღსაზრდელებს გაუზიაროს ცოდნა და დაეხმაროს იყვნენ წარმატებულები, თავისუფლები და პროგრესულად მოაზროვნეები.

- ეს ჯილდო სიხარულთან ერთად პასუხისმგებლობას ნიშნავს ჩემთვის. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როდესაც შენ მოგიაზრებენ წლის საუკეთესო მასწავლებლად, თუმცა ამ დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უკან არის საზოგადოება, რომელსაც ვემსახურებით, რომ დაეუფლონ კარგ განათლებას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს გამარჯვება არის პასუხისმგებლობა სიხარულთან ერთად. ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტია განათლება და სკოლა. მაქსიმალურად ვცდილობ, ნებისმიერი სიახლე შევიტანო არა მარტო ჩემს სკოლაში, არამედ თემში, მუნიციპალიტეტის, რეგიონის დონეზე. მასწავლებლის ეროვნული ჯილდო შესაძლებლობას მომცემს, უფრო მეტ ადამიანთან ვითანამშრომლო მომავალში. აუცილებლად, სიახლეებით დავუბრუნდები ჩემს რეგიონს. როცა მასწავლებელი ხარ, ერთია, რა გაწერილი ვალდებულებები გაქვს, და მეორეა მორალური პასუხისმგებლობა, რასაც ვერავინ დაგაკისრებს, თუმცა შენ გრძნობ, რომ ეს შენი მხრიდან გასაკეთებელია. ჩემი პედაგოგიური საქმიანობის პირველივე დღიდან ვცდილობდი, დამემსხვრია ბარიერები, რომლებიც მოსწავლეს აფიქრებინებს, რომ მასწავლებელი არ შეიძლება მისი მეგობარი იყოს. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა შენი მოსწავლეები საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში გრანტს მოიპოვებენ ან საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობენ. ათმაგად საამაყოა, ძალიან პატარა სოფლის სკოლადამთავრებული მოს-



წავლეები დიდ წარმატებას რომ აღწევენ და ამაში შენც მიგიძღვის წვლილი. მინდა კიდევ ერთხელ მადლიერება გამოვხატო მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მონიჭებისათვის. მომავალი მართლაც განათლებაშია. მადლობა ჩემს მოსწავლეებს, ყველას მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის, - განაცხადა როლანდ შავაძემ.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის ეროვნული ჯილდო განათლების კოალიციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა.

# „აგრარული ფორუმი – 2022“

**დარინა გაბაიძე 27 48 93**

**აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, სასტუმრო „შერატონში“ გაიმართა ფორუმი „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“**

ფორუმზე სტუმრები რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და წარმოების გაზრდის შესაძლებლობებს გაეცნენ. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო ადგილობრივი პროდუქცია.

ღონისძიების მიზანია რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის გაზრდა, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, ექსპორტის ხელშეწყობა, ახალი ბიზნესკონტაქტების დამყარება და აგრარულ დარგში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლება.

„ჩვენი მიზანია რეგიონის ფერმერთა კეთი-





ლდღეობის უზრუნველყოფა აგრარული დარგის განვითარების ხელშეწყობით. ვიმედოვნებთ, რომ ღონისძიება აგრარული სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის იქნება ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული“, - განაცხადა მინისტრმა.

ფორუმს ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორი რაულ თავართქილაძე, დირექტორის მოადგილეები იოსებ აბულაძე და ლერი ტუნაძე, მუნიციპალიტეტის მერები, აჭარის მინისტრთა კაბინეტის, სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და დიპლომატიური კორპუსის წევრები, ასევე, 50-მდე უცხოური და ადგილობრივი კომპანიის წარმომადგენელი.

აგრარულ ფორუმთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავას.

- როგორც იცით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა აგრარული ფორუმი, რომელსაც 100 ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სამთავრობო შემადგენლობა, უმაღლესი საბჭო, სამრეწველო პალატა, ასევე, 50-მდე უცხოური და ადგილობრივი კერძო კომპანია, რომლებიც დასაქმებულები არიან აგრარულ სექტორში სხვადასხვა მიმართულებით, იყვნენ ფერმერები, ასოციაციის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები. ამ ღონისძიებას, ტრადიციულად, ყოველწლიურად ვატარებთ, ბოლო პერიოდში პანდემიამ შეგვიშალა ხელი და ამიტომ ის 2 წელი არ ჩატარებულა. ფორუმის მიზანია, წარმოვაჩინოთ, რა აგრარული პოტენციალი აქვს ჩვენს რეგიონს, რომელი დარგებია განვითარებული და ბოლო წლების განმავლობაში რომელი პროდუქციის წარმოება განვითარდა, რა შესაძლებლობებია როგორც ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე, ასევე ექსპორტის თვალსაზრისით და ზოგადად, რა სიტუაცია გვაქვს ჩვენ დარგობრივ ჭრილში სოფლის მეურნეობაში.

იხ. მე-7 გვ.

## «ნებისმიერი ურთიერთბრალდება ოპოზიციის შიგნით მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს»

3

## წიგნი, რომლითაც ძველ ბათუმს ძეგლი დაუდგეს

5


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# პროგრამაში დამატებით 29 ოჯახი ჩაერთო

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

*აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამაში სტიქიის შედეგად დაზარალებული დამატებით 29 ოჯახი ჩაერთო*

მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 3 080 000 ლარს შეადგენს. გათვალისწინებულია 100-მდე სახლის ან ბინის შეძენა. პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართი უკვე შეიძინა 58-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა, 8 ოჯახს უახლოეს პერიოდში დაურეგისტრირდება. 29 ეკომიგრანტი ოჯახი სამინისტროს თანადაფინანსებით საცხოვრებელს შეიძენს.



შერეული სამთავრობო კომისიის სხდომაზე, რომელსაც მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე ხელმძღვანელობდა, კომისიის წევრებმა სულ განიხილეს 48 ეკომიგრანტი ოჯახის პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თანხმობა 29 ოჯახზე გაიცა, სხვა ოჯახების მონაცემები დამატებითი შესწავლის მიზნით დაუბრუნდა მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებს.

„სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის პროგრამას. წელს აჭარის მთავრობის მიერ თანადაფინანსება 30 000 ლარამდე გაიზარდა. კომისიაზე მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ოჯახები, რომელთა მიმართ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, საცხოვრებელს სწორედ გაზრდილი დაფინანსებით შეიძენენ“, - განაცხადა ედუარდ ნაკაშიძემ.

# „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერ ზაზა დიასამიძესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად, მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა.

ედუარდ ნაკაშიძემ ადგილობრივებს ინფორმაცია მიაწოდა „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის თაობაზე, ისაუბრა სხვა მიმდინარე პროექტების და სიახლეების შესახებ, მოისმინა მოქალაქეების საჭიროებები და უპასუხა მათთვის მნიშვნელოვან შეკითხვებს.

შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე.



# „დუმილის ქარაგმების“ წარდგინება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 9 ოქტომბერს გაიმართება ახალგაზრდა პოეტ ნიკა (ნიკოლოზ) ფუტკარაძის წიგნის „დუმილის ქარაგმები“ წარდგინება*




წიგნი გამოიცა ბათუმის მერიისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. ღონისძიების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ნიკას დამკვალიანებელსა და გზამკვლევს, პოეტ ბელა ქებურიას

- წიგნი ეძღვნება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ ცნობილ ქართველოლოგს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს. წარდგინება გაიმართება შემოქმედებითი საღამოს ფორმატში, სადაც ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზით წარმოდგენილი იქნება კოლაბორაციები, მუსიკალური კომპოზიციები, ნომრები საავტორო ვიდეოარტების ჩვენებით, კლასიკური მუსიკის და როკის თანხლებით, რომელთა ავტორები არიან მუსიკოსი გიორგი ფუტკარაძე, ნიკას უფროსი ძმა და თავად ნიკა ფუტკარაძე. ღონისძიებაზე წარმოდგენილი კლასიკური მუსიკის ავტორია სანდრო ნებიერიძე. ქორეოგრაფიული ნომრები ეკუთვნის ქორეოგრაფ სესილი დავითაძეს. თეატრის ფოიეში გაიმართება იოსებ ჯორბენაძის ნახატების გამოფენა. ნამუშევრები ილუსტრაციების სახით შესულია წიგნში. წიგნში შესული მასალა რამდენიმე ენაზეა დაწერილი, - გვითხრა ქალბატონმა ბელამ.

# ბათუმში ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის – AMSE–ს ყოველწლიური კონფერენცია გაიხსნა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*სასტუმრო „ლიც რეზორტში“, ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის - AMSE-ს ყოველწლიური კონფერენცია გაიხსნა, რომელსაც დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი მასპინძლობს. კონფერენციის გახსნას აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე და პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე დაესწრნენ*




„მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ საქართველო პირველად მასპინძლობს ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის კონფერენციას, მეტიც, კონფერენციამ პირველად დატოვა ევროპის ფარგლები, რაც ნიშნავს ქართული სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემის მიღწევებს და მომავალ მხარდაჭერას. ყოველწლიური კონფერენცია უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს AMSE-ს წევრებს და ევროპული სამედიცინო სკოლების დელეგატებს, შეხვდნენ, ისწავლონ და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, ასევე, სამედიცინო განათლების პოლიტიკის განვითარების ხედვა“, - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

კონფერენციის მთავარი თემაა ხარისხის უზრუნველყოფა მომავლის სამედიცინო სკოლებში.

„სამედიცინო სკოლების უმრავლესობა ევროპაში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ნაწილობრივ აღმოჩნდა კრიზისში. გამოწვევები დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან, სამხედრო კონფლიქტებთან და კლიმატის ცვლილების შედეგებთან. AMSE 2022-ის კონფერენცია არის შესაძლებლობა AMSE-ს წევრი სკოლებისა და სხვა საკვანძო ორგანიზაციების ლიდერებისთვის, შეიკრიბონ და იმსჯელონ ამჟამინდელ ვითარებაზე, იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ, დებატების საშუალებით, აქტიურად ჩამოაყალიბონ სამედიცინო განათლების მომავალი. სწორედ ამიტომ, კონფერენციაში მოწვეულები არიან სხვადასხვა ევროპული სკოლების დეკანები, ლიდერები, პედაგოგები და მკვლევარები“, - აღნიშნა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა ლევან ტვილდიანმა.

კონფერენციაში მონაწილეობენ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი, საექიმო განათლების ევროპული საბჭოს, ასევე ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა ევროპული სისტემის ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია - AMSE 1979 წელს დაარსდა, როგორც სამედიცინო დეკანთა ასოციაცია. დაარსების დღიდან ემსახურება ევროპის რეგიონში როგორც სამედიცინო სკოლებს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობას, ისე ხარისხის ამაღლებას.

# ვისწავლოთ ცხოვრება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„თვითმოტივაცია, როგორც წარმატების წინაპირობა“ - აღნიშნულ თემაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ცნობილმა ფსიქოლოგმა ზურა მხეიძემ საჯარო ლექცია წაიკითხა.

როგორ უნდა ავიმაღლოთ თვითმოტივაცია? აღნიშნული კითხვა დღეს არაერთ ადამიანს აწუხებს, შესაბამისად, სტუდენტების მხრიდან ინტერესიც ძალიან დიდი აღმოჩნდა, - აუდიტორია ვერ იტევდა ახალგაზრდებს. ფაქტია, ლექციის თემატიკის ირგვლივ არაერთი გამოწვევა არსებობს, რომელიც წარმატებისკენ მიმავალ გზაზე აჩენს ერთგვარ ბარიერებს, რაც ადამიანში ხშირად იწვევს უკონტროლო ემოციებს, უიმედობას. პროფესორ ზურა მხეიძის თქმით, ადამიანები დამოუკიდებლად ქმნიან თავიანთ ცხოვრებას და ყველა პრობლემა არასწორი კომუნიკაციის საფუძველზე ყალიბდება. მისივე განმარტებით, ადამიანს აქვს არჩევანი, ან იყოს ბედნიერი, ან - არა, რაც აბსოლუტურად მასზეა დამოკიდებული, მთავარია იპოვოს საკუთარ თავთან სწორი კავშირი და ემოციური ბალანსი, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, საკუთარ სხეულში ღელვის კოეფიციენტი დასწიოს და კონცენტრირდეს კონკრეტულზე. ამასთან, მთლიანად მისი არჩევანია, სამყაროსთან ურთიერთობის როგორ კონცეფციას შეიმუშავებს, როგორი იქნება მისი ხედვა საკუთარი თავისა და ყოველდღიურობის მიმართ. როგორც ზურა მხეიძემ სტუდენტებს უთხრა, ცხოვრების სწავლა შესაძლებელია - უნდა იმუშაონ საკუთარ თავთან, რომ არ გაუჭირდეთ გამოწვევებთან გამკლავება და არ დაითრგუნონ პირველივე დაბრკოლებაზე.

ფსიქოლოგმა, რომელიც 25 წელზე მეტია, ატარებს ლექციებსა და ტრენინგებს მართვისა და კომუნიკაციის მიმართულებით, ახალგაზრდების არაერთ შეკითხვას უპასუხა და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს საინტერესო შეხვედრის ორგანიზებისათვის.

- მოხარული ვარ, რომ სტუდენტებს აქვთ მოთხოვნა, თავიანთი თავი განაწყონ ისე, რომ მოტივირებული იყვნენ. არაერთი დაბრკოლება არსებობს ირგვლივ, მთავარია, იპოვო საკუთარ თავში ძალა, რომ ისწავლო, როგორ იყო ხვალ იმაზე მეტად გაზრდილი შინაგანად, ვიდრე დღეს ხარ. ცხოვრების სწავლა შესაძლებელია, თუკი მოვუსმენთ და კარგად გავიცნობთ საკუთარ თავს და შემდეგ დავაკვირდებით ჩვენს დამოკიდებულებებს, კავშირს გარესამყაროსთან. თქვენ როცა წარმატებით მიიწევთ მიზნისკენ, თქვენი აზრები მხოლოდ პოზიტიური დასასრულისკენაა მიმართული, ამიტომაცაა, რომ პატარა დაბრკოლებაც კი ხდება მოტივაციის დაკარგვის მიზეზი. თუ ჩვენ გზის დასაწყისში მოვამზადებთ თავს ამბის ყველა შესაძლო განვითარებისთვის, უფრო ადვილად შევძლებთ პრობლემის გადაჭრის გზის პოვნას. მინდა წარმატება ვუსურვო თითოეულ სტუდენტს, თვითმოტივაცია მართლაც არის წარმატების წინაპირობა, ამიტომ ყოველთვის გამოენახოთ საკუთარ თავში ძალა, ცხოვრებისგან „შემოთავაზებული“ გამოწვევების დასაძლევად, - აღნიშნა ფსიქოლოგმა.

შეხვედრა ბსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.

# „ნებისმიერი ურთიერთბრალდება ოპოზიციის შიგნით მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზეასხამს წყალს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



*მსოფლიო თანამეგობრობა კანონის უზენაესობის დაცვასა და დემოკრატიული რეფორმების გატარებაში მხოლოდ დაპირებებს დიდხანს არ შეეგუება. გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ წარმატებული ქვეყნების ხვედრია, სწორედ ამ მიმართებით აქვს გარკვეული პრეტენზიები დასავლეთს საქართველოს ხელისუფლების მიმართ. საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის ამ დრომდე არმინიჭებამ ოპოზიცია და მმართველი პარტია კიდევ უფრო დააპირისპირა, თუმცა დაპირისპირების საბაბს ჩვენში რა გამოლევს: ხელისუფლება ოპოზიციას დესტრუქციულობასა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებს, ოპოზიცია კი მთავრობის პრორუსულ ორიენტაციაზე საუბრობს... ამას ემატება თავად ოპოზიციური სპექტრის ურთიერთდაპირისპირება. დღეს სწორედ ოპოზიციის წარმომადგენელი პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, საკრებულოს წევრი* ***ვაჟა დარჩია*** *გვიპასუხებს შეკითხვებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არსებულ არაერთგვაროვან პოლიტიკურ ვითარებას ეხება.*

**- როგორ დაახასიათებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს?**

- დღეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი საკმაოდ მძიმე საყურებელია ჩვენი მოქალაქეებისთვის, რადგან ისევ მიდის პოლარიზაციის პროცესი, რის მთავარ როლშიც ხელისუფლება გვევლინება. „ქართული ოცნება“ დღეს

> ***,, არაერთი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხზე ყოფილა ერთსულოვნება საკრებულოში. მაგალითად: იაფი სახლის პროგრამის ფარგლებში ჩვენ 80-მდე შეჭირვებულ ოჯახს ერთხმად მივეცით საშუალება, რომ ქირის თანხის ნაცვლად საკუთრებაში გადაეცეთ სახლები. თუმცა თითქმის ყველა სხდომაზე არის პოლიტიკური დაპირისპირებაც, საკრებულომ მიიღო არაერთი საკითხი, სადაც მე და სხვა ოპოზიციონერი კოლეგები ვხედავდით კორუფციის მაღალ რისკებს***

ორიენტირებული უნდა იყოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებაზე, თუმცა ვხედავთ, რომ იმ 12 პუნქტიდან, რომელიც ჩვენმა პარტნიორებმა წარმოგვიდგინეს, როგორც სამოქმედო გეგმა, ფაქტობრივად, არცერთი შესრულებულა და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ოპოზიციას გადააბრალოს. არადა, მარტივი დასანახია, რომ „ქართული ოცნება“ არ დგამს პრობლემების მოგვარებისთვის სასარგებლო ნაბიჯებს. გარდა ამისა, ვხედავთ, რომ ქმნის მკვეთრად ანტიდასავლურ, სატელიტ ჯგუფს, ე.წ. განდგომილი თუ ამბოხებული დეპუტატების სახით, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ არ სურთ დეკემბერში მივიღოთ კანდიდატის სტატუსი და მათი მიზანია, ეს ყველაფერი დაბრალდეს ოპოზიციას, რომელიც თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს, რომ ვითარება გაუმჯობესოსოს.

**- თქვენ მნიშვნელოვან თემებზე გაამახვილეთ ყურადღება, თუმცა ვიდრე ამის შესახებ ვისაუბრებდეთ, ბათუმის საკრებულოზე მინდა გკითხოთ: არსებობს თუ არა ისეთი საკითხები, სადაც ოპოზიცია და მმართველი პარტია თანამშრომლობას ახერხებენ ბათუმის საკეთილდღეოდ?**

- რა თქმა უნდა, არსებობს. არაერთი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხზე ყოფილა ერთსულოვნება საკრებულოში. მაგალითად: იაფი სახლის პროგრამის ფარგლებში 80-მდე შეჭირვებულ ოჯახს ერთხმად მივეცით საშუალება, რომ ქირის თანხის ნაცვლად საკუთრებაში გადაეცეთ სახლები. თუმცა თითქმის ყველა სხდომაზე არის პოლიტიკური დაპირისპირებაც, საკრებულომ მიიღო არაერთი საკითხი, სადაც მე და სხვა ოპოზიციონერი კოლეგები ვხედავდით კორუფციის მა-ღალ რისკებს, თუმცა ამ ყველაფერზე საუბარი ხელისუფლებისთვის მიუღებელია. მაგალითისთვის შეიძლება ვახსენოთ ავარიული სახლების პროგრამა, რომლის წესიც დაამტკიცა საკრებულომ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, რომელიც ბათუმის მერიამ წარადგინა საქართველოს პარლამენტში, რის საფუძველზეც მერს მიეცა შეუზღუდავი ძალაუფლება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესში, სიმაღლის დადგენასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, რომ ეს აჩენს კორუფციის მაღალ რისკებს. გარდა ამისა, ხმაურით მივიღეთ ბულვარის განაშენიანების გეგმაც, რომლის შემუშავებაში მუნიციპალიტეტმა 400 ათასი ლარი გადაიხადა. მასში მკაფიოდ ეწერა, რომ ბულვარის ტერიტორიაზე ფუნდამენტური, მაღალსართულიანი შენობები შეუსაბამოა ამ სივრცისთვის. ექსპერტების ეს ჩანაწერი „ქართულმა ოცნებამ“ კომპანია „ამბასადორის“ იურისტის მომართვის საფუძველზე აღნიშნული გეგმიდან ამოიღო. თუმცა თვითონ დოკუმენტი აშკარად პროფესიონალების მიერ არის შედგენილი და საინტერესოა, მოახდენს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობა ამ გეგმის იმპლემენტაციას.

**- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიციის შენიშვნები და რჩევები, ძირითადად, არაადეკვატურია და იმასაც დასძენენ, რომ მოსახლეობა მათი მმართველობით კმაყოფილია, ამაზე რას ფიქრობთ?**

- ძირითადად, მსგავსი არგუმენტებია ბათუმის საკრებულოშიც, ჩემი ყველა შენიშვნა გამიზნული იყო ამ ქალაქის ინტერესებისთვის, თუმცა არცერთი არ გაუთვალისწინებიათ, უმრავლესობაშიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და წარმოუდგენელია, მათ ჰქონდეთ ცოდნა და კვალიფიკაცია ყველა მიმართულებით. მიუხედავად ამისა, რჩევებს არ ითვალისწინებენ და ამას მხოლოდ პოლიტიკური, პარტიული სარჩული უდევს. ასეთივე პროცესი მიდის საქართველოს პარლამენტში - „ყოვლისმცოდნე“ უმრავლესობა იღებს კანონებს, რომელიც სამომავლოდ შეიძლება გახდეს პრობლემური და შენიშვნებს არ იღებს არათუ ოპოზიციიდან, არამედ მათ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტისგან. საუბარობს მოსმენების კანონზე, როცა პრეზიდენტის ვეტო აღნიშნულ საკითხზე ყოველგვარი ცვლილების გარეშე დაძლიეს და მიიღეს კანონპროექტი პირველადი ვერსიით.

**- ცხადია, პოლიტიკოსების შემფასებელი მოსახლეობა და ისტორიაა... ამას წინათ, „ენ-დი-აის“ ბოლო კვლევებით მოსახლეობის 40 პროცენტი არცერთ პარტიას არ ენდობა, ეს რისი მანიშნებელია?**

- ეს არ არის ახალი ტენდენცია, მსგავს კვლევებში ბოლო წლებში, სამწუხაროდ, ბევრი ჩანდა ე.წ. გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, მათ ამისთვის არაერთი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი გააჩნიათ. ფაქტი ერთია, რომ ამ ქვეყანაში ყველა მიმართულებით არის ძალიან ბევრი პრობლემა და მდგომარეობა დღითი დღე მძიმდება, შესაბამისად, მოსახლეობის ნიჰილიზმი ამ პოლიტიკური კლასის მიმართ საკმაოდ ბუნებრივია. მათ სურთ, დაინახონ ერთობლივი მუშაობა ქვეყნის ინტერესებისთვის, თუმცა დღეს ვხედავთ, რომ ეს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია.

**- სხვათა შორის, კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ თუ ოპოზიცია არ გამოფხიზლდა, 2024 წლის არჩევნებს მმართველი პარტია მოიგებს. ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს ექსპერტთა ნაწილიც, ამ მხრივ დღეს ოპოზიცია რა სტადიაშია?**

- ოპოზიციაში ხარვეზებზე მე ყოველთვის ვსაუბრობ, თუმცა ამ ყველაფერში მხოლოდ მათი დადანაშაულება არასწორია. ჩვენ რამდენიმე კვირის წინ ვნახეთ, თუ რა მასშტაბით ჰყავს ხელისუფლებას აგენტები პარტიებში ჩანერგილი, შესაბამისად, ამ პირობებში ბევრად რთულია ბრძოლა. ისინი ბოროტად, ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებენ ყველანაირ სახელმწიფო რესურსს, უთვალთვალებენ და აშანტაჟებენ ოპოზიციონერებს, სამსახურიდან ათავისუფლებენ ოპოზიციის მხარდამჭერებს, ამ პირობებში კი ბრძოლა ძალიან რთულია. თუმცა ჩემი გუნდის სახელით შემიძლია ვთქვა, რომ მაქსიმალურად ვცდილობთ. მნიშვნელოვანია ის გარემოება თუ როგორ მივალთ არჩევნებამდე. აუცილებელია ხელისუფლებას დავაკლებინოთ ე.წ. 5%-იანი ბარიერი, რაც ერთგვარი გარანტია იქნება დეპოლარიზაციისა და ახალი, კოალიციური მთავრობის შექმნისა.

**- არ წყდება საუბარი „ნაცმოძრაობის“ ელიტაში წარმოქმნილ ურთიერთდაპირისპირებაზე, როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?**

- ჩემი მხრიდან არ იქნება სწორი ვისაუბროთ სხვა პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებზე, თუმცა მიმაჩნია, რომ მსგავსი ელექტორალური რესურსის პარტიაში აუცილებელი და სავალდებულოა, არსებობდეს განსხვავებული აზრი. შეუძლებელია ამდენი ადამიანი ერთ აზრზე იყოს. რაც შეეხება იმ სახელსა და გვარს, რომლის ირგვლივაც ამ პარტიაში ატეხილია აჟიოტაჟი, მე არასდროს გამოვირჩეოდი მაგ ადამიანის მიმართ პატივისცემით, ფაქტი არის ერთი, რომ „ნაცმოძრაობაში“ მიმდინარე პროცესები დამაზიანებელია საერთო საქმისთვის. ეს არის, რისი თქმაც შემიძლია ამ საკითხის ირგვლივ.

**- არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ მოუწოდებს საპარლამენტო ოპოზიციას პარლამენტის დატოვებისკენ. ეს მოთხოვნა გააჟღერა მწერალმა თეონა დოლენჯაშვილმაც, როცა იკითხა: რატომ არ ტოვებს ოპოზიცია პარლამენტს და საკრებულოებს? რას ფიქრობთ?**

- ამ მომენტისთვის არასწორი მგონია ასეთი ნაბიჯი, ვგულისხმობ, მანდატების დატოვებას, სანამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობასთან დაკავშირებით საბოლოო შედეგი არ გვექნება. ამის შემდეგ უნდა დავსახოთ კონკრეტული სამომავლო სამოქმედო გეგმა. 74 მუნიციპალიტეტში საკრებულოების დატოვება არა მგონია მარტივი პროცესი იყოს, ამას საკმაოდ მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

**- ქართულ პოლიტიკაში ურთიერთბრალდებები არახალია, მაგალითად, შალვა ნათელაშვილმა „სტრატეგია აღმაშენებლი“ გარკვეულწილად, ხელისუფლებათან ალიანსში დაადანაშაულა, ეს რამდენად აზიანებს ოპოზიციას?**

- დიახ, მეც ასე ვფიქრობ - ნებისმიერი მსგავსი ურთიერთბრალდება ოპოზიციაში მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმაა, რაც ბუნებრივია, აზარალებს ოპოზიციას, მით უმეტეს მაშინ, როცა ბრალდება არ ემყარება არანაირ არგუმენტს და მხოლოდ ვარაუდია.

**- ოპოზიციისა და მმართველი პარტიის ურთიერთბრალდებები უმეტესწილად, ევროკავშირის მიერ მოწოდებულ 12 პუნქტის შესრულებას უკავშირდება, რა მოცემულობაა ამ მიმართებით?**

- „ქართული ოცნების“ პირობებში წარმოუდგენლად მეჩვენება კანდიდატის სტატუსის მიღება, მით უმეტეს, ყველა იმ ტრიუკის შემდეგ, რასაც ხელისუფლება აკეთებს, იგივე განდგომილ დეპუტატებთან, ან თუნდაც სახალხო დამცველის არჩევის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ხელისუფლებამ ხელი ისევ ოპოზიციას არ შეაწმინდოს და ხალხს ნათლად დაანახოს, თუ ვისი გამოისობით დადგება ის შედეგი, რომელიც დადგება.

**- მმართველი პარტიის ყოფილმა წევრებმა (ხუნდაძე, სუბარი, ყაველაშვილი) განაცხადეს, რომ დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა სურს, მსგავსი განცხადებები რამდენად სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის?**

- უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს ამ ძალის სატელიტ პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნას. მე ეს პროცესი მესახება, როგორც ალტინფოს ალტერნატივის შექმნა, ფაქტია, რომ „ხალხის ძალა“ უმოკლეს ვადაში დარეგისტრირდება, როგორც პოლიტიკური პარტია და თუ რაოდენ საზიანოა ეს განდგომილი დეპუტატების ჯგუფი და მათი განცხადებები ჩვენი ქვეყნისთვის, ამაზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი თითქმის ყოველდღიურად საუბრობს, წარმოუდგენელია უმრავლესობის წევრი ევროკავშირსა და ნატოს, ქვეყნის სუვერენიტეტის დამრღვევად მოიხსენიებოდეს, როცა დღემდე სწორედ ჩვენი დასავლელი პარტნიორების აქტიური ჩართულობით ინარჩუნებს ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: პუტინმა უკრაინის ოთხი რეგიონის ანექსირება დააკანონა, თავის მხრივ კიევმა ლიმანი გაათავისუფლა, ამჟამად ომის რა ფაზაა უკრაინაში?**

- ნახეთ ალბათ, რა შედეგები გამოიწვია რუსეთში ე.წ. მობილიზაციის პროცესმა. ნათლად დავინახეთ, რომ უამრავი რუსი არ ეთანხმება ამ ომს, მოქალაქეების დიდი ნაწილი გარბის რუსეთიდან, რადგან მათ არ სურთ თავი შეაკლან პუტინის ახირებას. გარდა ამისა, ვხედავთ, თუ რა ერთსულოვანია უკრაინელი ხალხი და როგორ გმირულად იბრძვიან ისინი მთელი ცივილიზებული მსოფლიოს სახელით, მე მგონი, უკვე პუტინსაც აღარ სჯერა იმის, რომ ამ ომში რუსეთი გაიმარჯვებს, ფაქტია, რომ უკრაინა, პუტინის მცდელობის მიუხედავად, წინ მიიწევს და აუცილებლად გაიმარჯვებს მსოფლიოს ყველაზე დიდი ბოროტების, პუტინის წინააღმდეგ.

იხ. მე-4 გვ.

## უცხოეთი

მივესალმებით განხილვის ნებისმიერ შესაძლებლობას იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა ქვეყანა ასრულებს სანქციებს და აღასრულებს მათ. ეს ასევე არანაირად არ გამორიცხავს იმ ძალიან მისასალმებელ გზას, რომლებსაც გადიან ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები, იქნება ეს უკრაინა, მოლდოვა თუ საქართველო, - ამის შესახებ ევროპარლამენტის პრეზიდენტმა რობერტა მეცოლამ პრაღაში ჟურნალისტებს განუცხადა. მეცოლას შეფასებით, მათ ასევე უნდა დაიცვან ქვეყნები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, მაგრამ შეუერთდნენ სანქციებს და რომლებსაც ჰყავთ „ძალიან, ძალიან საშიში მეზობელი“.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მუქარა ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ ყველაზე დიდ რისკს ქმნის. „პირველად კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ, გვაქვს პირდაპირი მუქარა ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. კენედისა და კუბის სარაკეტო კრიზისის შემდეგ ჩვენ არმაგედონის პერსპექტივის წინაშე არ ვმდგარვართ“, - აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ვლადიმერ პუტინი არ ხუმრობს, როდესაც ტაქტიკური ბირთვული იარაღის პოტენციურ გამოყენებაზე საუბრობს, „რადგან მისი არმია, შეიძლება ითქვას, იმაზე საგრძნობლად ცუდად ასრულებს დავალებას, ვიდრე მოსალოდნელი იყო“.

* * *

ევროპული უსაფრთხოების ახალი სტრუქტურა რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეიქმნება. ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელმა პრაღაში ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის პირველი შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა. „მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ევროპა ჩვენი ისტორიის ახალ ფაზაში შევიდა. დღეს 44 ევროპელი ლიდერი ერთმანეთს მოუსმენს, რათა იპოვონ გზა, როგორ აშენდეს ევროპაში უსაფრთხოების ახალი სტრუქტურა. ეს რუსეთის გარეშე იქნება გაკეთებული. არა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვინდა, რომ რუსეთი ევროპის ნაწილი იყოს, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი ევროპული თანამეგობრობიდან პუტინის მიერ იქნა გაგდებული“, - აღნიშნა ბორელმა.

* * *

სომხეთი და აზერბაიჯანი აღიარებენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, - ამის შესახებ აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც პრაღაში, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს, სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შორის შეხვედრის შემდეგ გავრცელდა. „სომხეთმა და აზერბაიჯანმა დაადასტურეს თავიანთი ერთგულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიისა და ალმა-ატის 1991 წლის დეკლარაციის მიმართ, რომლითაც ორივე მხარე აღიარებს ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მხარეებმა განაცხადეს, რომ ეს არის დელიმიტაციის კომისიების საქმიანობის საფუძველი და კომისიების შემდეგი სხდომა ოქტომბრის ბოლომდე ბრიუსელში უნდა გაიმართოს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

მოამზადა
ია შველიძე

# მოზარდობის ყოველი ეტაპი სხვადასხვა მახასიათებლით გამოირჩევა

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**



*აგრესიული ქცევა მოზარდებში ასახავს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ მწვავე ფსიქოლოგიურ და სოციალურ პრობლემას, რომელიც მთლიანობაში, გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, მასწავლებლებზე, მშობლებზე, იქცევს მკვლევართა ყურადღებას და, ამავე დროს, თავად ახალგაზრდა თაობა მას პირველ რიგში განიცდის. ეს არის უდიდესი პრობლემა, რომელზეც საჭიროა საუბარი და გამოსავლის პოვნა. ამ მნიშვნელოვან თემაზე ვესაუბრეთ საქართველოს გეშტალტთერაპევტთა ეროვნული ასოციაციის წევრს, ფსიქოლოგს, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპევტს, არტთერაპევტს, ირმა ხვიჩიას რეაბილიტაციის ცენტრის გეშტალტთერაპევტს* ***ზაირა ნადირაშვილს***. *მან დეტალურად განიხილა აღნიშნული საკითხი და უფრო კონკრეტულად ჩაგვახედა ამ პრობლემის სიღრმეებში.*

**- ქალბატონო ზაირა, ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. რა შეიძლება იწვევდეს მოზარდებში აგრესიას?**

- ყოველი ადამიანი გაივლის განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია და სირთულეებთან დაკავშირებული, ყალიბდება პიროვნება, თუმცა ყველაზე რთულ პერიოდად მაინც მოზარდობის ასაკია, ეგრეთ წოდებული პუბერტატი, რომელიც მოზარდებში საკმაოდ რთული პროცესია. ამ დროს ხდება საკუთარი თავის ძიება, კითხვების დასმა, განცდა, ემოციური რეაგირება, იწყებენ თავის დამკვიდრებას, რაც ზოგჯერ ძალიან მტკივნეული არის ხოლმე, ფაქტიურად ხდება ფსიქიკის, ორგანიზმის, მსოფლმხედველობის და ფასეულობათა სისტემის გაორება-გახლეჩა. ამიტომაც არის რთული, როცა მოზარდი უახლოვდება პუბერტულ ასაკს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჰორმონების გაძლიერებული გამოყოფა, სასქესო ნიშნების განვითარება, უამრავი კითხვა, დაბნეულობა, ცრუ და რეალური ინფორმაციის შეგროვება, სქესობრივი ცნობისმოყვარეობა, საკუთარი სხეულის შესწავლა, მტკივნეული რეაგირება გარეგნულ ფორმებთან დაკავშირებით, მშობელთან კონტაქტის შესუსტება, მათთვის თავის არიდება, მუდმივი კამათი, გულჩათხრობილობა, დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ სწრაფვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდში სწავლობენ წესების და შეზღუდვების წინააღმდეგ გალაშქრებას.

**- არსებობს შეხედულება, რომ აგრესია იმ ბავშვებში იკვეთება, რომლებიც მშობლებისგან განიცდიან ჩაგვრას, რას ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა, კოგნიტური თუ პიროვნული განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობელს. გარდატეხის ასაკში მშობლის მხრიდან ბავშვის დაჩაგვრის ფაქტები პრაქტიკაში მქონია. შეიძლება ითქვას, ბავშვის ჩამოყალიბება ხდება მშობელთან ურთიერთობისას, ამიტომ არსებითად მნიშვნელოვანია, თუ როგორი ურთიერთობა აქვს მოზარდს და მშობელს. ძირითადად, მშობლები იყენებენ სამ კლასიკურ მეთოდს აღზრდაში, ესენია: დირექტიული, ინდიფერენტული და დემოკრატიული. პირველი ხასიათდება მაღალი მოთხოვნებით ბავშვის მიმართ, მაგრამ ნაკლები ყურადღებით მისი საჭიროებებისადმი, რაც, დამეთანხმებით, რომ არ არის სწორი მეთოდი. ინდიფერენტული აღზრდის სტილი არის სუსტი კონტროლისა და ემოციური უგულებელყოფის შეხამება. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვისთვის დამახასიათებელია დაბალი თვითშეფასება, ანტისოციალური ქცევისკენ მიდრეკილება, სირთულეები სწავლაში და ბევრი სხვა პრობლემა, რომელიც თანმდევია ამ ყველაფერთან ერთად. ყველაზე კარგია დემოკრატიული აღზრდის სტილი, რომელიც გულისხმობს თბილ დამოკიდებულებას შვილის მიმართ. ოჯახური განათლების ეს სტილი უდიდეს ეფექტს იძლევა ბავშვებში შეგნებული დისციპლინის ჩამოყალიბებაში, ოჯახური საქმეებისადმი და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენებისადმი ინტერესის გაღვივებაში. თანდათან ბავშვებს უვითარდებათ ინიციატივა და შემოქმედებითი მიდგომა დაკისრებული დავალების მიმართ. ასეთ ოჯახებში სასჯელი, როგორც წესი, არ გამოიყენება, საკმარისია მშობლების საყვედური ან განაწყენება. მშობლებმა მიუხედავად იმისა, რომ მოზარდებთან ურთიერთობა ძალიან რთულია, შეუძლებელი უნდა შეძლონ. ხელი უნდა შეუწყონ მათ მცდელობებს, მოიპოვონ დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდნენ პიროვნებებად. ამავე დროს არ უნდა შეეხოთ ბავშვის თავმოყვარეობას, რადგან მათთვის რთულია აღიარონ, რომ ზოგი რამ მარტოს არ გამოსდით.

**- ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ჩვენთან ერიდებიან ბავშვების დასახმარებლად ფსიქოლოგების ჩართვას. რა განაპირობებს მათ ასეთ ქმედებას?**

- გეთანხმებით. არის მშობლების მხრიდან არაცნობიერი შიში, მაგრამ წინა წლებთან შედარებით არის წინ გადადგმული ნაბიჯები და ბოლო დროს სულ უფრო და უფრო აქტუალური გახდა და გამოიკვეთა ფსიქოლოგის როლი ბავშვის აღზრდისა თუ განვითარების საკითხში, შესაბამისად, ბევრი აღიარებს ფსიქოლოგის დახმარების აუცილებლობას. რაც უფრო მეტი ადამიანი მიმართავს ფსიქოლოგს დახმარებისთვის, მით უფრო მშვიდი და ემოციურად უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო შეიქმნება თითოეული ჩვენგანისათვის. მინდა ვთქვა, რომ ფსიქოლოგთან მისვლის კულტურა ნელნელა ინერგება. მშობლები დღეს ბევრად მეტ ყურადღებას აქცევენ ბავშვის აღზრდის დროს ფსიქოლოგიურ საკითხებს, ვიდრე წლების წინ, რაც ძალიან კარგია, მაგრამ არ არის საკმარისი. დღეს ემოციებზე და ბავშვობაზე, როგორც ადამიანის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაზაზე, საზოგადოებამ ბევრად მეტი იცის, შესაბამისად, ყურადღებაც მეტად ექცევა მშობლების მხრიდან. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ხშირად მე, როგორც ფსიქოლოგი, ვიმყოფები კლასიკურ სამკუთხედში - მშობლის „შეკვეთა“, მოზარდის მოთხოვნები და ჩემი, როგორც ფსიქოლოგის პოზიცია. ხშირად მეუბნება მშობელი, „თქვენი იმედი მაქვს“, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის და ვცდილობ, მშობელს ავუხსნა, რომ მე ვარ მოდერატორი და ადამიანი, რომელიც იქნება მარეგულირებელი კონკრეტულ ურთიერთობაში.

**- რამდენი შემთხვევა ყოფილა თქვენს პრაქტიკაში, როცა მშობლებს მოუყვანიათ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ბავშვები? მშობლები რამდენად კომუნიკაბელური არიან ამ მხრივ?**

- ჩემს პრაქტიკაში ძალიან ხშირად მშობელი მომმართავს ქცევითი დარღვევების პრობლემით ან ისეთ საფეხურზე ყოფნისას, როდესაც მშობელი ვეღარ უმკლავდება არსებულ მდგომარეობას. ყველა ასაკობრივ საფეხურზე სხვადასხვა პრობლემები იკვეთება. არის ეკრანდამოკიდებული ბავშვი, რომელიც იმყოფება არასასურველ ველში. მე ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობ ასეთ დარღვევებთან. ხშირად ჩივიან მშობლები ბავშვების გაუგონრობაზე, სიჯიუტეზე, აგრესიულობაზე, კვებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ასევე, მათ აქტიურ ან პასიურ ქცევაზე სოციალურ გარემოში, ოჯახის ახალი წევრის, დედმამიშვილის მიმართ დამოკიდებულებაზე, პრობლემებზე სკოლაში და ა.შ.

**- არსებობს თუ არა გენდერული განსხვავებები აგრესიული ქცევის გამოვლენის თვალსაზრისით?**

- აგრესიულობის თვალსაზრისით, სქესთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება. იდეა, რომ აგრესიულობა ადამიანის ბუნებაშია, საკმაოდ პოპულარულია. პირადად ვიტყვი, რომ აგრესიას არ გააჩნია გენდერი. ცხადი ხდება, რომ ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვა „აგრესიით“ აღვნიშნავთ ქცევათა ფართო სპექტრს და ის თავს იჩენს გენდერული განსხვავებების გარეშე. სამწუხაროდ, აგრესია და ძალადობის სიჭარბე თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ იგი გავრცელებული და კომპლექსური პრობლემაა, მისი თავიდან აცილება, შემცირება და მასზე ადეკვატური რეაგირება შესაძლებელია. საუკეთესო გამოსავალი კი არა დასჯა და პოსტ-ფაქტუმ მოქმედებაა, არამედ პრევენცია გააზრებითა და ბევრი სხვადასხვა საკითხის გაცნობიერებით უნდა მოხდეს.

**- ოჯახის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა და დაძაბული ცოლქმრული ურთიერთობა რამდენად განაპირობებს ბავშვებში აგრესიის გამოვლინებას?**

- ბავშვისთვის აუცილებელია სათანადო გარემო. ოჯახი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პიროვნების განვითარებისა და ფორმულირების პროცესში. მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ბავშვის ფიზიკური, ემოციური, ინტელექტუალური თუ სოციალური განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე. მშობლების ურთიერთდამოკიდებულება და შეფასებები განსაზღვრავს დაცულობისა და უსაფრთხოების განცდას, მორალურ მხარდაჭერას, ბავშვში სტაბილური, ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებას, ავტონომიურობის, ინიციატივის, შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის განვითარებას. ამგვარად, ოჯახი და ოჯახის ყოველი წევრის, განსაკუთრებით კი მშობლის პიროვნული მახასიათებლები და ღირებულებათა სისტემა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. დედ-მამას შორის ურთიერთობა და მათი ზნეობრივი დონე ისეთი ფაქტია, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს მოზარდის ჩამოყალიბებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავიანთი საქციელით ბავშვის გონებაში ტოვებენ კვალს, როგორც უპასუხისმგებლო ადამიანები, მატყუარები, მისი ცნობიერებიდან ამ კვალის ამოშლა ძალიან ძნელია, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად შეუძლებელიც. ამის გამო მშობელი ვალდებულია, უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულთან ერთად, ბავშვს კარგი ადამიანობის მაგალითიც უჩვენოს, რადგან მშობელი შვილისთვის გარკვეულ ასაკამდე ავტორიტეტია და ბაძავს მის ყველა ქმედებას. ასე რომ, თავად მშობელმა უნდა გადაწყვიტოს, საკუთარი შვილის ცხოვრებაში იგი გმირი იქნება, თუ ანტიგმირი. უყურადღებოდ არ დაიტოვება ისეთი საკითხი, როგორიცაა არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, რომელზეც უამრავი რამ არის დამყარებული და ძალიან ხშირად სწორედ ის იწვევს დაძაბულობას. მხოლოდ შემდეგ მოყვება ამას ოჯახური იდილიის ნგრევა და უხეშად რომ ვთქვათ, მსხვერპლი, როცა ამ დარღვეულ იდილიაში ბავშვი-მოზარდი ფიგურირებს.

**- თუ არის აღრიცხული ჩვენს ქვეყანაში მოზარდებში აგრესიის რა პროცენტული მაჩვენებელია?**

- აგრესიული ქცევის სახეებსა და მის გამომწვევ მიზეზებზე ძალიან ბევრი კვლევაა ჩატარებული. სტატისტიკურად, აგრესიულობა სჭარბობს სკოლებში, ეს არის ის სოციალური გარემო, სადაც ხშირად არის ბულინგი.

**- რა რჩევებს მისცემდით მშობლებს, როგორ უნდა მოიქცნენ მსგავსი პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში?**

- პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მშობელმა საკუთარი შვილი პოზიტიური მეთოდების გამოყენებით აღზარდოს. მოზარდთან საუბრისას აკონტროლოს საკუთარი მეტყველება და ემოციები. მოერიდოს ბრძანების, მუქარისა და ბრალდების გამოყენებას. ყურადღებას მხოლოდ უარყოფით მხარეებზე ნუ გაამახვილებს, აუცილებლად შეაქოს და მოიწონოს მოზარდის კარგი საქციელი. მოზარდებთან ურთიერთობისას ყველას თავისი წილი უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. მშობლებთან ერთად, აუცილებლად უნდა გამოვყოთ პედაგოგის როლიც მათ ცხოვრებაში. გეტყვით მაგალითს: თერაპიის კურსს გავდივარ გოგონასთან, რომელსაც აქვს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიღებული პედაგოგისგან, რომელიც წლების განმავლობაში აბულინგებდა მას. შედეგად გოგონას აქვს ლოგონევროზი და მეტყველების რთული დარღვევა. პედაგოგებს მოვუწოდებ, გაითავისონ თავიანთი როლი მოზარდთა ცხოვრებაში და უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საკითხს.

# გასვლითი გაკვეთილი – უმაღლესი საბჭოს შენობაში



ბათუმის №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელებს აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა საკანონმდებლო ორგანოში გასვლითი გაკვეთილი ჩაუტარა.

„სახელმწიფო და სამართალი“ - ასე ეწოდება საგანს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს წევრი ამავე სკოლაში ასწავლის და რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სახელისუფლებო შტოების, კერძოდ, საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის სპეციფიკასა და პრინციპებს გაეცნენ.

ახალგაზრდებმა სახელმწიფოს მოწყობაზე, ქართულ კონსტიტუციონალიზმსა და კანონშემოქმედებით საქმიანობაზე ინფორმაცია აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძისაგან მოისმინეს, დასვეს კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

გასვლითი გაკვეთილის ფარგლებში, მოსწავლეებს საკანონმდებლო ორგანოს შენობის ისტორია, სტრუქტურა და საქმიანობის სპეციფიკა უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა ცირა ხაჯიშვილმა გააცნო. გაკვეთილის პარალელურად, ახალგაზრდებმა შენობა დაათვალიერეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

**ამირან გურიელიძე**

# „ნებისმიერი ურთიერთბრალდება ოპოზიციის შიგნით მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს“

მე-3 გვერდიდან

**- სხვათა შორის, უკრაინამ ოფიციალური განაცხადი გააკეთა ნატოში გაწევრიანების თაობაზე. ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველომაც უნდა გააკეთოს მსგავსი განაცხადი, თქვენი პარტიის პოზიცია როგორია ამ მიმართებით?**

- მიმაჩნია, რომ ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ყველა თეორიული თუ პრაქტიკული შანსი იმისა, რომ გახდეს ნატოს წევრი. საქართველოს და უკრაინას, ბუქარესტის სამიტიდან მოყოლებული, ერთ კონტექსტში განიხილავდა საერთაშორისო თანამეგობრობა, გვახსოვს ის ჩანაწერიც, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრები. ვფიქრობ, ყველაფერი უნდა ვცადოთ, რისი შესაძლებლობაც მოგვეცემა.

**- დაბოლოს, ჩვენი ქვეყნის ბედი გარკვეულწილად, უკრაინაში წყდება, რა გავლენა ექნება ამ ომს ევროპის და მათ შორის საქართველოს მომავალზე?**

- მე გულწრფელად მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის, როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულია ამ ომზე. გამარჯვებული უკრაინა ნიშნავს გამარჯვებულ საქართველოს, ნიშნავს იმას, რომ იმაზე ახლოს ვიქნებით ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ, ვიქნებით ყველაზე ახლოს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციასთან. შესაბამისად, ამ ომის გავლენა ჩვენს ქვეყანაზე წარმოუდგენლად დიდია.

# წიგნი, რომლითაც ძველ ბათუმს ძეგლი დაუდგეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმის მწერალთა სახლში წიგნის „ბათუმის სული" რედაქტორ ვალერი ნოვაროსთან შეხვედრა გაიმართა. იგი ჩვენი თანაქალაქელია, მაგრამ დიდი ხანია ლატვიის დედაქალაქ რიგაში ცხოვრობს, თუმცა დღესაც მშობლიური ქალაქის სიყვარული ასულდგმულებს. შეხვედრაში მონაწილეობდა წიგნის გამომცემელი ბაგრატ თავბერიძეც, რომელიც რამდენიმე თავის ავტორიც გახლავთ. სამწუხაროდ, ცოტანიღა დარჩნენ ბათუმელები, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს ხსენებული გამოცემა და მათი ნაწილიც ესწრებოდა ამ ღონისძიებას. „ბათუმის სული" არაჩვეულებრივი წიგნია, რომელშიც არა მხოლოდ ადამიანებზე წაიკითხავთ, მასში ჩვენი ქალაქის დიდი ისტორიაა. ალბათ, ბევრი ჩვენი თანაქალაქელისთვის იქცევა სამაგიდო წიგნად*

*შეგახსენებთ, რომ ბაგრატ თავბერიძემ გამოსცა წიგნი „ბათუმი - ისტორია სახეებში".*



ვალერი ნოვარო საოცარი სიყვარულით წერს თავისი ბავშვობაზე, ყმაწვილობის წლებზე... ეს არის 150-გვერდიანი გულთბილი მოგონებები, რომლებსაც ნოველებიც კი შეიძლება ვუწოდოთ. თითოეული გვერდი გულს გითბობს.

უნდა ვთქვათ, რომ ბაგრატ თავბერიძეს მართლაც, დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ წიგნის გამოცემაში. მან თავი მოუყარა უამრავი ადამიანის ისტორიას. უდიდესი სამუშაო გასწია - არ არის ადვილი 830-გვერდიანი წიგნის გამოცემა.

მან თავის გამოსვლაში განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ხუთი სპონსორის მიმართ, რომელთა შორის არიან ბათუმელები: ოლეგ კოპალეიშვილი, ოვანეს მაზმანიანი და აშოტ პეტროსიანი, ასევე - გერმანიაში მცხოვრები ვიქტორია კრასენბაუმი და მოსკოვში მცხოვრები ბათუმელი გევორგ კესოიანი. სპონსორობა ასევე შეეძლო ყველას, ვინც 20 ეგზემპლარ წიგნს შეიძენდა. ეს არ იყო პატარა თანხა. ისინი ამ წიგნებს ჩუქნიდნენ წიგნის გმირებს (მეც ასე მომიწია წიგნის ერთი ეგზემპლარი - მ.ძ.).

როგორც ბატონმა ბაგრატმა აღნიშნა, ამ წიგნის გამოცემით მათ სურდათ ძველი ბათუმისთვის ძეგლი დაედგათ.

- წიგნი ჩემი ბავშვობის ქალაქს მივუძღვენი, ხალხს, რომელიც აღარ არის, მაგრამ ბათუმისთვის ბევრი გააკეთეს. მასში შეკრებილია მასალები ასეთ ადამიანებზე, ასევე, იმ ულამაზეს შენობებზე, რომლებიც იყო და ჯერ კიდევ შემორჩენილია ბათუმში. ამ ყველაფერს ერთად ბათუმის სული შეიძლება ვუწოდოთ. ჩემთვის ბათუმის სული არიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ აქ, ლიტერატურა (რამდენი პოეტი და მწერალი ჩამოდიოდა ამ ქალაქში... მათ დატოვეს ძველ ბათუმში თავიანთი კვალი), ფილმები (რომლებიც აქ გადაიღეს), მოთხრობები (რომლებშიც ბათუმზე და ბათუმელებზეა საუბარი). წიგნი არ იქნებოდა, რომ არა ვალერი ნოვარო. ვმუშაობდით ძალიან რთულ პირობებში, პანდემიის დროს. ურთულესი გახდა მისი სტამბოლში დაბეჭდვა და ეს იმიტომ გადაწყდა, რომ ქაღალდის გადმოტანა ბევრად უფრო ძვირი ჯდებოდა. სასიხარულოა, რომ ის დღეს ჩვენთანაა. ბათუმი იყო ქალაქი, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა და პატივს სცემდა. მაშინ ბათუმში 48 ეროვნების, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობდა. ისეთი მეგობრობა, როგორიც ბათუმურ, იტალიურ ეზოებში იყო, იშვიათია. ამ იტალიურ ეზოებში ყველა ერთ ონკანს იყენებდა, მაგრამ არავინ ჩხუბობდა. ბათუმელები ის ადამიანები არიან, ვისაც ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ მშობლიური ქალაქი, - გვითხრა ბაგრატ თავბერიძემ.

გთავაზობთ შეხვედრის რამდენიმე მონაწილის გამოსვლას.

**ვახტანგ ღლონტი, პოეტი:**

პირველი წიგნი - „ბათუმი - ისტორია სახეებში" რომ გამოსცა, მაშინ შევხვდით ბატონ ბაგრატს. მისი სახით გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ბათუმისათვის, კუთხისათვის ღირებულ ადამიანებზე შეაგროვა მასალა და ორ წიგნში გამოსცა. აქ ყველა ეროვნების ადამიანია - ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი, ებრაელი, აფხაზი... ყველა ღვთის შექმნილნი ვართ და ვალდებულება გვაკისრია - ერთმანეთი გვიყვარდეს, პატივს ვცემდეთ... ბათუმში სხვანაირად ვერც წარმოგვიდგენია ცხოვრება. ჩვენ ერთი ენა გვქონდა, სიყვარულისა და პატივისცემის.

წიგნში არაერთი შესანიშნავი ოჯახის ცხოვრებაა გადმოცემული და მათ შორის გამორჩეულია სულიკო ჟღენტის, რომელიც ჟურნალისტმა ელინა მოსეშვილმა პირველ წიგნში აღწერა. შეხვედრას მისი ორი ქალიშვილი, ოლიკო და ქეთი, ესწრებოდა. მეორე წიგნში კი მის ძმაზე მამული ჟღენტზე დაწერა.

**ოლიკო ჟღენტი:** - წიგნს ეტყობა, რომ მასში ტიტანური შრომაა ჩადებული, რომელიც ვალერიმ და ბაგრატმა გასწიეს. კარგია შენობები, ეზოები, მოგზაურები, მაგრამ ბათუმის სულს ადამიანები ქმნიან - მთავარი ჩვენი ემოციები და განცდებია, რაც ამ ქალაქთან გვაკავშირებს. არ მინდა მარტო შენობა, მთავარი ამ შენობასთან დაკავშირებული მოგონებებია. ბატონი ვალერი შემოქმედებითად, როგორც კარგი მწერალი, ისე წერს მოგონებას მშობლიურ ქალაქზე, რომელიც არაჩვეულებრივად იკითხება. მეც გამახსენა ის წლები, როცა ოფიცერთა სახლში დავდიოდი სეანსებზე და როცა დაინგრა, თითქოს გულიდან რაღაც მომგლიჯეს. თვითონ შენობას ხომ არ მივტირით, მივტირით ჩვენს ამ შენობასთან დაკავშირებულ მოგონებებს, გრძნობებს. ამ ყველაფერს რომ თავი მოუყარო, ძალიან ძნელია. გავა წლები და ეს წიგნი დარჩება საუკეთესო მოგონებებით. სულ განვიცდი, რომ უამრავი ადამიანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ ჩავიწერე მათი მოგონებები.

**ვალერი ნოვარო:** - ევროპის ყველა სახელმწიფოს დედაქალაქში ვიყავი, შესაძლოა ისინი უფრო საინტერესოა, დიდი, უკეთესი, მაგრამ ჩემთვის ბათუმი ყველაზე მშობლიური და საყვარელი ქალაქია, რომელშიც გაიარა ჩემმა ყველაზე ბედნიერმა ცხოვრებამ. აქ არიან ჩემი მეგობრები. აქ ცხოვრობდა ჩემი დედა, ბებია, ბაბუა, არასოდეს მეგონა, რომ ის, რაც ჩავიფიქრე 2012-13 წლებში (ჩემი ვაჟისთვის მიმეწერა წერილები, სახლში რაღაც ჩანაწერები გამეკეთებინა, რათა მას სცოდნოდა იმ ქალაქის შესახებ, რომელშიც მისი მამა დაიბადა და გაიზარდა, რომელშიც თვითონ იზრდებოდა ოთხ წლამდე), დღეს თქვენთან შეხვედრის საშუალებას მომცემდა. ბაგრატმა სწორედ ამ ჩანაწერებით მიპოვა და მაშინ არ ვფიქრობდი წიგნზე. მან შემომთავაზა, მეთქვა, რას ვფიქრობდი ბათუმის სულზე, რა არის ბათუმის სული. მეც სწრაფად წამომიტივტივდა გონებაში, რასაც ვფიქრობდი. სწორედ ეს შევიდა წიგნში. წიგნზე მუშაობა რომ დავიწყე, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამდენს შევძლებდით. წარმოიდგინეთ, რამდენი ტექსტური მასალა, რამდენი ფოტო უნდა შეგვეგროვებინა, რომ მერე აი, ეს 800-ზე მეტი გვერდი შეგვერჩია. არ იყო ადვილი ამდენი მასალის შეგროვება, რედაქტირება, კორექტირება, წიგნის აწყობა, დაფორმატება, ტიპოგრაფიული საქმის ორგანიზება და ამას ყველაფერს ერთი ადამიანი უძღვებოდა - ბაგრატ თავბერიძე. წიგნს შეალია პირადი ცხოვრების დიდი ნაწილი, მხედველობის პრობლემის მიუხედავად და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იშრომა. ისე „დაგვაავადმყოფა" ამ საქმით, რომ არ მივხმარებოდით, ეს არ იქნებოდა წესიერი საქციელი. მსოფლიოს ყველა ქალაქზე, რომელიც ტურიზმის ცენტრად ითვლება (ტურისტთა რაოდენობის მიხედვით), გამოცემულია წიგნი. მათში ძირითადად, გადმოცემულია ამა თუ იმ ქალაქის პატარა ისტორია, მისი არქიტექტურა, შენობა-ნაგებობები, თუმცა ვფიქრობ, არცერთ ქალაქს არ აქვს ასეთი ფორმატის წიგნი, რომელშიც გადმოცემულია ჟურნალისტების, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეების, მწერლების მოგონებები და ასევე მათ შესახებაცაა მოთხრობილი. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის ადამიანები, რომლებიც აქ დაიბადნენ, ზოგი მოსწავლეობისას წავიდა, ზოგიც მოზრდილობაში, აქ აღარ ცხოვრობენ, მაგრამ მათ სახელი გაითქვეს სხვადასხვა სფეროში. არც ისინი დაგვივიწყებია.

**დათო თედორაძე, პოეტი:** - წლების განმავლობაში გამომცემლობას ვხელმძღვანელობდი და ვიცი, რა რთულია ასეთი წიგნის გამოცემა. ორივე წიგნში უზარმაზარი ისტორიაა - ჩვენი კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, ყოფა-ცხოვრება. სურათებითა და საინტერესო შინაარსით. ბევრ შესანიშნავ ადამიანზეა მოთხრობილი, ფაქტობრივად, ჩვენი ისტორიაა. მადლობა მთავარ რედაქტორს და ბაგრატს, მათ ვინც დააფინანსა და გვერდით დაუდგა მათ, ვინც იტვირთა ეს უზარმაზარი, საშვილიშვილო საქმე. ეს ისტორიული, საჭირო წიგნია, მას ყავლი არასოდეს გაუვა. ამ წიგნის პრეზენტაცია უფრო დიდი მასშტაბით უნდა მოხდეს.

**იანის კესისოვი, ბათუმელი:** - ბათუმი ჩემთვის არა მხოლოდ მშობლიური ქალაქია, ის ჩემი დიდი სამშობლოა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი და ვმუშაობდი 2004 წლამდე. მთელი ეს წლები აქ ვიყავი. აქ დავიბადე და გავიზარდე, სკოლა აქ დავამთავრე. ვიცი, რას ნიშნავს წიგნის გამოცემა. ოთხი წიგნი გამოვეცი, არ არის ეს ადვილი საქმე. გამომცემლებმა ძალიან დიდი საქმე გააკეთეს, მადლობა მათ ამისთვის. შეხვედრაზე კარგად ითქვა, იმდენი ახალი სახეა, რომ მესამე წიგნის გამოცემა კარგი იქნებოდა.

**ზაალ ჯაფარიძე, ბათუმელი:** - ფოტოგრაფიასთან ცოტათი ახლოს ვარ, არქიტექტურასთანაც, მწერლებში გავიზარდე. ამ წიგნში ყველაფერი ერთადაა შეზავებული და ყველაფერი ეხება ჩვენს ქალაქს. აქ ითქვა და მეც ვეთანხმები, რომ ეს ფაქტობრივად, ენციკლოპედიაა, რომელიც თაობებს გააცნობს ჩვენს ისტორიას. წიგნში ნამდვილი ბათუმი ჩანს. დიდი მადლობა, რომ მასში მამაჩემი, ნუგზარ ჯაფარიძე ასე თბილად მოიგონეთ.

წიგნის გარე ყდის ავტორია ანუშ თავბერიძე, ტექნიკური რედაქტორი - ილია წულაძე, კორექტორი და რამდენიმე წერილის ავტორი ელინა მოსეშვილი.

## უკრაინა

ზაპოროჟიეზე განხორციელებული სარაკეტო იერიშის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 11-მდე გაიზარდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის 25 ადამიანის გადარჩენა მოხერხდა. „6 ოქტომბერს სარაკეტო თავდასხმის შედეგად დანგრეული საცხოვრებელი სახლების ადგილზე სამაშველო სამუშაოები გრძელდება, ერთ-ერთ მისამართზე, ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნანგრევებიდან 8 გარდაცვლილი ამოიყვანეს, 6 ადამიანი გადაარჩინეს, აქედან 5 ჰოსპიტალიზებულია. ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნანგრევებიდან 3 გარდაცვლილი ამოასვენეს, 15 ადამიანი გადაარჩინეს, მათგან 8 საავადმყოფოში გადაიყვანეს", - აცხადებენ საგანგებო სიტუაციების სამსახურში.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა, 1-ელი ოქტომბრიდან მხოლოდ ხერსონის ოლქში 500 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია და ათობით დასახლება გაათავისუფლეს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „მხოლოდ 1-ელი ოქტომბრიდან და მხოლოდ ხერსონის ოლქში, ნახევარ ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია და ათობით დასახლებული პუნქტი გათავისუფლდა და დასტაბილურდა. წარმატებაა აღმოსავლეთის მიმართულებითაც. აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ჩვენ ვისაუბრებთ წარმატებაზე ზაპოროჟიეს ოლქში - იმ ადგილებში, რომლებსაც ჯერ კიდევ აკონტროლებენ ოკუპანტები. დადგება დღე, როცა ყირიმის გათავისუფლებაზეც ვისაუბრებთ", - აღნიშნა ზელენსკიმ. მან ასევე ისაუბრა ირანულ დრონებზე, რომლებიც უკრაინას ესხმიან თავს. „რატომღაც, ირანი აცხადებს, რომ ისინი ჩვენთან არ არიან. ხალხი ხედავს მათ ცაში. ჩვენ მათ ვაგდებთ, ისინი კი გვეუბნებიან, რომ არ არსებობენ. კარგი, ჩვენ ვიპოვით გზებს უზრუნველვყოთ, რომ მართლაც არ იარსებონ", - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

* * *

რუსეთი რუსული პასპორტების მქონე უკრაინელებს ქვეყნიდან არ უშვებს. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის საკითხების სამინისტრო ავრცელებს. სამინისტროს ცნობით, უკრაინელები რუსეთში, ლატვიასა და ესტონეთთან საზღვარზე, ორიდან ექვს დღემდე იმყოფებიან. ფილტრაციის სპეციალურ პუნქტებში კი მათ ამოწმებენ, რუსეთის ფედერაციის პასპორტი თუ გააჩნიათ. „ჩვენი ინფორმაციით, თუ უკრაინის მოქალაქეს რუსეთის ფედერაციის პასპორტი არ აქვს - მას უშვებენ. თუ ადგენენ, რომ უკრაინის მოქალაქეს რუსული პასპორტიც აქვს, ასეთ ადამიანს რუსეთიდან არ უშვებენ", - წერია რეინტეგრაციის სამინისტროს განცხადებაში, სადაც ასევე, აღნიშნულია, რომ ყირიმში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც რუსული პასპორტი არ გააჩნიათ, უშვებენ სასაზღვრო პუნქტებზე. ლატვიასა და ესტონეთში უკრაინის საკონსულო დაწესებულებების წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ სასაზღვრო-გამშვები პუნქტები თავისუფლად გადაკვეთონ.

* * *

ნატოსა და ევროკავშირის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ჩართულია უკრაინელი სამხედროების მომზადებაში. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა „ფორბსთან" განაცხადა. „ნატოსა და ევროკავშირის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა და ისინიც, ვინც ჯერ არ შედიან ნატოში, როგორებიცაა შვედეთი და ფინეთი, ყველა ჩართულია მოსამზადებელ პროგრამებში", - აღნიშნა რეზნიკოვმა. მისი თქმით, ცნობილი ბრიტანული მოსამზადებელი პროგრამის გარდა, კოპენჰაგენის დონორთა კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმებების შედეგად, უკრაინელი მეომრების წვრთნას შეუერთდნენ ნორვეგია, დანია, შვედეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთი. რეზნიკოვმა აღნიშნა, რომ ამ ინიციატივებში ჩართვის სურვილი გერმანიის თავდაცვის მინისტრმაც გამოთქვა უკრაინაში ბოლო ვიზიტის დროს. მინისტრის თქმით, უკრაინელი არტილერისტებისთვისა და სპეციალური დანიშნულების ძალებისთვის პარტნიორებმა სპეციალური პროფესიული პროგრამები შექმნეს. რეზნიკოვმა აღნიშნა, რომ ბრიტანული პროგრამიდან, რომელიც 30 000 უკრაინელი სამხედროს გაწვრთნას ითვალისწინებს, პირველი 10 000 უკვე მალე ამთავრებს შესაბამის მომზადებას.

* * *

ტერორისტმა სახელმწიფომ არც ერთი შემოსავალი არ მიიღოს ნავთობისა და გაზის გაყიდვებიდან, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „ამ დღეებში ევროკავშირი რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების მე-8 პაკეტის შემოღებისკენ მიიწევს. კერძოდ, ამ პაკეტში გათვალისწინებულია რუსული ნავთობის საზღვაო ტრანსპორტირების შეზღუდვა და იქმნება ინსტრუმენტები ტერორისტი სახელმწიფოს ნავთობისგან მიღებული შემოსავლების შესაზღუდად", - აღნიშნა პრეზიდენტმა. მან რწმენა გამოთქვა, რომ დროთა განმავლობაში ეს მიღწეულ იქნება და მადლობა გადაუხადა ყველა ევროპელს, ვინც ასეთი შედეგისთვის მუშაობს.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# მთის სოფლის დაცარიელების შემაკავებელ ფაქტორად სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება რჩება

*ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურული კომისიის თავმჯდომარე* **ზაურ გობაძე** *სამი თემის (დიდაჭარა, საციხური, აგარა) 7 სოფლის ამომრჩეველთა მაჟორიტარია წარმომადგენლობით ორგანოში. იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

- წინა მოწვევის საკრებულოში დიდაჭარის თემის ორი სოფლის (დიდაჭარა, ირემაძეები) მაჟორიტარი ვიყავი. ჩემთვის უდიდესი პატივი იყო, როცა «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს» პოლიტსაბჭომ მეორედ ნდობა გამომიცხადა და სამი თემის 7 სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარმადგინა. დაახლოებით ერთი წელია, ხელმეორედ შევუდექი იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც ამომრჩეველმა წინასაარჩევნოდ დამისახა.



**- მთავარი ამოცანა რა იყო?**

- მთაში, ისიც ისეთ ადმინისტრაციულ ერთეულებში, როგორიც ისტორიული დიდაჭარა, მთის კალთებს შეფენილი საციხური და შორეული აგარაა, პრობლემები ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება. მეც სავსებით და სამართლიანად ვიზიარებ იმ აზრს, რომ მთის სოფლის დაცარიელების შემაკავებელ ფაქტორად სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება რჩება. მისასალმებელია, რომ დიდაჭარაში, ირემაძეებში, საციხურში, აგარაში, გელაურაში, პანტნარსა და ნამონასტრევში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობები, ინვენტარი და თვალსაჩინოება გვაქვს, მათგან აგარაში, საციხურში, გელაურაში, პანტნარსა და ნამონასტრევში ახალი შენობები ამ საუკუნის დასაწყისში შენდება. რეაბილიტირებულია დიდაჭარისა და ირემაძეების სკოლების კაპიტალური შენობები. მათ მშენებლობა-რეაბილიტაციაში ჩვენი წვლილიც იყო. აგარაში სკოლის კაპიტალური შენობა მეწყრულმა პროცესებმა დააზიანა. წინა ხელისუფლება გამაგრებითი სამუშაოებით მოსახლეობას, პედაგოგებს ამშვიდებდა. მისი მშენებლობა «ქართული ოცნების» ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო და ერთ-ერთი გამორჩეული სკოლის შენობაა ღორჯომის ხეობაში. ჩემს საარჩევნო ოლქში 2879 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. საარჩევნო უბანზე 1788 გამოცხადდა, რომელთაგან 46 %-მა მხარი დამიჭირა. «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» კანდიდატს თითქმის 12 პროცენტით ვაჯობე. ამომრჩეველთა უმრავლესობა ის კატეგორიაა, რომლებსაც სკოლასთან, განათლების სისტემასთან კავშირი აქვს. ისინი სკოლების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებას, სკოლამდელი დაწესებულებების გახსნას პირველ ამოცანად მიიჩნევდნენ. მადლობის მეტი რა მეთქმის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხულოს მერიისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობის მიმართ. უკვე დაწყებულია მოძრაობა აგარაში საბავშვო ბაღის მშენებლობაზე. სიტყვას ვერც ირემაძეებელ ამომრჩევლებს გავუცრუებ. სადეპუტატო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე აქაც ბაგა-ბაღი გვექნება. ირემაძეებლები და ჩვენც დიდ პატივს მივაგებთ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მერაბ ჭელიძის ხსოვნას. ჩვენი თანახეობელი ბიზნესმენის, მეცენატ გოჩა ირემაძის თანადგომით საჯარო სკოლის ეზოში მისი ხსოვნის მემორიალი გაკეთდა. ირემაძეებლების მოთხოვნაა და ჩვენგანაც მხარდაჭერა იქნება, რომ ამ სოფელში ადმინისტრაციული შენობა («სოფლის სახლი») აშენდეს. როგორც აგარის, ირემაძეების საბავშვო ბაღების მშენებლობაზე, «სოფლის სახლზეც» თანხები რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან იქნება მობილიზებული.

**- თანამედროვე ქართული სოფელი სხვა ინფრასტრუქტურასაც ითხოვს...**

- ამომრჩევლისთვის მიცემულ სიტყვას ამ მიმართებითაც ვასრულებთ. საზოგადოებამ კარგად იცის საღვთო დღესასწაულ «დიდაჭარობის» მნიშვნელობა. პანდემიის წლებში, საქართველოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს («დიდაჭარობაც» მაშინ აღინიშნება) მხოლოდ სხალთის ეპარქიის ტაძრებში აღვლენილი წირვა-ლოცვით მთავრდებოდა ეს დღესასწაული, წელს კი ადრინდელი მასშტაბები დაიბრუნა. მომლოცველების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ისინი თარანგელოს გორაზე, სადაც პირველი ქრისტიანული ტაძრის ადგილი იყო და ახლა ნანგრევებია შემორჩენილი, კეთილმოწყობილი, ასფალტ-ბეტონისსაფარიანი გზით მივიდნენ. სოფელ ირემაძეების 75 ოჯახს მეკეიძეებიდან სასმელი წყალი გამოვუყვანეთ. ბოლაურსა და მის შემოგარენში მცხოვრები ამდენივე ოჯახი მალე სასმელ წყალს სოფელ ვანაძეებიდან მიიღებს. საარჩევნო ოლქის მოსახლეობა მამაპაპურ ტრადიციას არ ღალატობს. ისინი ზაფხულობით პირუტყვს მესხეთის მთების კალთებზე არსებულ ალპურ საძოვრებზე მირეკავენ. თაობების ოცნება იყო ნათელათის, ქვაბიჯვრის მიმდებარე იალაღების ელექტრიფიცირება. რეგიონულ ბიუჯეტს ეს საქმე ნახევარ მილიონამდე ლარი დაუჯდა. მალე გოდერძი-მწვანე ტბის მიმართულებით არსებული ელექტროგადამცემი ხაზი ახლით შეიცვლება. თითქმის ყველა სოფელში მისასვლელ საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარია დაგებული, ხოლო დიდაჭარა-ირემაძეები-საციხურის გზაზე - ასფალტი. ორი წლის წინ დასრულდა დიდაჭარელთა იალაღებთან მისასვლელი გზის გოდერძი-მწვანე ტბის 7-კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება. ახლა სამუშაოები გრძელდება შავი ტბისა და ვაშლოვანის მთის მიმართულებით. მწვანე ტბის ტერიტორიიდან ჩემს მშობლიურ დიდაჭარაში სასმელი წყალი გამოვიყვანეთ. წლევანდელმა გვალვიანმა ზაფხულმა ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ სოფლებში ადრე მოქმედ სარწყავ არხებს უნდა მივხედოთ. დაწყებულია სამუშაოები დიდაჭარის, ირემაძეების სარწყავი არხების რეაბილიტაციისთვის.

> ,, *თითქმის ყველა სოფელში მისასვლელ საავტომობილო გზებზე ბეტონის საფარია დაგებული, ხოლო დიდაჭარა-ირემაძეები-საციხურის გზაზე - ასფალტი. ორი წლის წინ დასრულდა დიდაჭარელთა იალაღებთან მისასვლელი გზის გოდერძი-მწვანე ტბის 7-კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება. ახლა სამუშაოები გრძელდება შავი ტბისა და ვაშლოვანის მთის მიმართულებით. მწვანე ტბის ტერიტორიიდან ჩემს მშობლიურ დიდაჭარაში სასმელი წყალი გამოვიყვანეთ*

**- მწვანე ტბა, ნაომარი, შავი ტბა კურორტ გოდერძის მიმდებარე ტერიტორიებია. რა კეთდება ტურისტული პოტენციალის ათვისებისთვის?**

- უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორები კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურასთან, საცხოვრებელ გარემოსთან ერთად, ადგილობრივი კულინარიითაც ინტერესდებიან. მწვანე ტბა, ნაომარი, შავი ტბა ტურისტულ ლოკაციებად რომ იქცეს, მათ შემოგარენში არსებულ მეცხოვრეებს ჩვენგან ხელშეწყობა უნდა ჰქონდეთ, მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ მიწის რესურსი. აქ კარტოფილის, სხვა ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღება ისევ შესაძლებელია. ნაომარზე მოსაპირკეთებელი ქვების (ფილების) დიდი მარაგია. დროა ისიც ხალხის სამსახურში ჩადგეს, მისი მოპოვება-დამუშავება ადგილობრივ ბიუჯეტს შემოსავალს დაუტოვებს. ირემაძეებსა და საციხურს შორის არსებულ ტერიტორიაზე მოედინება ბოლაურის სამკურნალო წყალი, რომელიც ძვალ-სახსროვანი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება. დადგა დრო, ეს ბუნებრივი რესურსი ნორმალური ინფრასტრუქტურით გამოიყურებოდეს. ეს საქმე ტურისტულმა სააგენტოებმა უნდა ითავონ.

**- მაჟორიტარი დეპუტატის მოვალეობას საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეობაც ემატება...**

- თითქმის ერთი წელია, რაც ამ თანამდებობაზე ვარ. მერიის შესაბამისი სამსახურის, თვითმმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად, ჩართული ვარ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებსა და ხარისხიანად შესრულებისთვის მუშაობაში, რაც ხულოს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. მათი რაოდენობა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» მობილიზებული თანხებიდან 250-ს აღწევს. რამდენიმე «საუკუნის პროექტადაც» იწოდება. მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილი კომისია დასრულებულ ობიექტებს იბარებს. იმ მეწარმეებს, ფირმებს, კომპანიების ხელმძღვანელებს, რომლებიც სამუშაოს უხარისხოდ, ვადების დარღვევით ასრულებდნენ, საქმიანობა შევუჩერეთ. ერთ-ერთი მათგანი ხულო-გოდერძი-ადიგენის საავტომობილო გზის ერთი ლოტის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა.

**- გოდერძის ოთხი სეზონის კურორტად გადაქცევისთვის რას აკეთებთ?**

- ამ მოწვევის საკრებულოს ხელმძღვანელი ბირთვი ვესწრებოდით აჭარის მთავრობის გასვლით სხდომას, რომელიც სასტუმრო «ამბასადორის» ეზოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა. ასეთი ღონისძიებები გვავალდებულებს, თითოეული ჩვენგანი აქტიურად ვიყოთ ჩართული გოდერძის ოთხი სეზონის კურორტად გადაქცევაში. შედეგები გვაქვს. აქ უკვე რამდენიმე სასტუმრო მოქმედებს და ისინი ახლაც დატვირთულია, თუმცა მთავარი მაინც ზამთრის სეზონია. კეთილმოწყობილი გზა როგორც კი იქნება, ღონისძიებებიც მოიმატებს და ტურისტული ნაკადიც.

**- თქვენს საარჩევნო ოლქში წამოწყებულ «დიდაჭარობაზე» საუბრობდით. სხვა რა სიახლეები გაქვთ?**

- აჭარის ქართული ჭიდაობისა და კრივის ფედერაციების პრეზიდენტები ჯემალ წულუკიძე და გოჩა შავაძე ჩემი თანასოფლელები არიან. მშობლიურ სოფელ დიდაჭარას ყურადღებას არ აკლებენ. კარგი წამოწყებაა «დიდაჭარის თასზე» ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. სპორტის ეს უძველესი სახეობა თანდათანობით სოფლებში შემოდის. დიდაჭარა ჭადრაკის მოყვარულთა სოფელია. შემთხვევითი არ იყო სოფლის ცენტრში საჭადრაკო კლუბ «ნონას» გახსნა, შემდეგ ეს შენობა საჯარო სკოლის მიმდებარედ გადავიტანეთ. კლუბის გახსნას ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი ესწრებოდა, მან ერთდროული სეანსიც გამართა. შენობა სარეაბილიტაციოა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მალე პროექტს შეისყიდის. სოფელ საციხურის ცენტრში მიტოვებული შენობა იყო. იქ ბაგა-ბაღმა, ადმინისტრაციული ერთეულის ოფისმა და კულტურის სახლის ადმინისტრაციამ ბინა დაიდეს. მასობრივი ღონისძიებებიც იმართება. გელაურა ის სოფელია, რომელიც მეწყრულმა პროცესებმა ყველაზე მეტად დააზარალა. ერთ დროს სოფლის სკოლას 150 მოსწავლე ჰყავდა. ახლა 20 მოსწავლეც აღარაა. სოფელთან დაახლოების, ადგილის დედის უკეთ შეცნობის მიზნით «გელაურობა» წამოიწყეს. მის ორგანიზებაში ყველანი ჩავერთეს.

**- საარჩევნო ოლქის სოფლები ხულოს ცენტრს საკმაო მანძილითაა მოშორებული. რა კეთდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის?**

- მარტო სოფელ აგარის მაგალითი იქნება საკმარისი. აქ უკვე გამართული პირველადი ჯანდაცვის ცენტრის შენობა აქვთ. ექიმი და სამედიცინო პერსონალი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ. იგივე ითქმის დიდაჭარის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის პერსონალისა და ექიმის საქმიანობაზეც. კეთილმოწყობილი საავტომობილო გზები სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის საქმეს უიოლებს და ისინიც დროულად მიეშველებიან პაციენტებს. ზაფხულში გამოძახებებზე ისინი მთებშიც გადიოდნენ.

# პროექტს „ქალთა ოთახების გაერთიანება“ ახორციელებს

შუახევის მუნიციპალიტეტში პროექტის „ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებებში“ ფარგლებში, საინფორმაცო შეხვედრა გაიმართა თემაზე: „დისკრიმინაციის მექანიზმები, დასაქმების ადგილზე გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია და სტიგმის დაძლევა“. შეხვედრას უძღვებოდა მკლევარი, გენდერის ექსპერტი ივეტა გოგოვა.

პროექტს „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერითა და შუახევის მუნიციპალიტეტის ჩართულობითა და ორგანიზებით, ახორციელებს „საქართველოს ქალთა ოთახების გაერთიანება“. პროექტის მიზანია სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურების ხელშეწყობა, პრობლემატური საკითხების წინ წამოწევა და შემდგომი მოგვარებისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა. შუახევი ერთ-ერთი სამიზნე მუნიციპალიტეტია, სადაც შეიქმნა სადისკუსიო პლატფორმები. პროექტი აჭარის რეგიონის კიდევ სამ მუნიციპალიტეტში - ხულოში, ქედასა და ხელვაჩაურში ხორციელდება.

პროექტში მონაწილეობის მსურველებმა სპეციალური აპლიკაციის ფორმები შეავსეს. ჩატარდა სამი საინფორმაციო შეხვედრა/სწავლება შემდეგ თემებზე: დეკრეტული შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამოწვევები და რეაგირების გზები, დედათა და ბავშვთა უფლებები, შვებულების ხანგრძლივობა, შვებულების გაცემის წესი და შვებულების თავისებურებანი სხვადასხვა სიტუაციაში; გენდერული უთანასწორობა შრომით ბაზარზე; აუნაზღაურებელი შრომა და ზრუნვის ეკონომიკა; შრომაში არსებული პრობლემების გამოვლენა/რეაგირება; ადვოკატირების მექანიზმები შშმ პირი ქალებისთვის, შშმ პირთა მშობლებისთვის და მარტოხელა დედებისთვის.



გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

# „წერის რწმენა მკითხველმა განმიმტკიცა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*პოეტი და პედაგოგი, ცხმორისის საჯარო სკოლის დირექტორი პაატა აბაშიძე გამორჩეულად უყვართ პოეზიის მოყვარულებს არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან, სადაც მის ლექსებს გაეცნენ. ეს არეალი კი საკმაოდ ფართოა. სრულიად საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში პერიოდულად იბეჭდება პაატას ლექსები. იგი ორი პოეტური კრებულის ავტორია. ახალგაზრდა შემოქმედი დღეს „აჭარის“ სტუმარია.*

**- რას გვეტყვით საკუთარ პერსონაზე?**

- დავიბადე 1986 წელს. მქონდა ჩვეულებრივი ბავშვობა, მინდოდა ფეხბურთელი, პოლიციელი ან მსახიობი გავმხდარიყავი. ბოლოს გამოვედი ბავშვობის ასაკიდან და ოთხწლიანი თავდადების მიუხედავად, მაინც ვერ გავხდი ვერცერთი, თუ არ ჩავთვლით, რომ ვწერ ლექსებს. ვარ კოსმოსისათვის - მშვილდოსანი, დედამიწისთვის - ზედმეტი 89კგ და გარშემომყოფთათვის ცოტა მოსამატებელი. იშვიათად ვიხდი მადლობას და ხშირად - ბანკის ვალს, ვახარებ სხვის გულს და ჩემს ჭიას, ყოველთვის ვცეკვავ ნაცნობებთან და არასდროს - სხვის დაკრულზე, ვეწევი სიგარეტს და ვერ ვეწევი მიმავალ ავტომობილს, ვჭამ ყველაფერს, სირცხვილის გარდა. არ ვწერ, როცა ვკითხულობ და როცა ვწერ, არ ვკითხულობ, ჯერჯერობით ვარ დასაქმებული, ვმუშაობ სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლაში. ვარ ფილოლოგი და ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას, გახლავართ ამ სკოლის დირექტორი. მყავს დედა, მეუღლე და სამი შვილი.



**- სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე დააინტერესეთ მკითხველი. რწმენა რამ განგიმტკიცათ?**

- წერის რწმენა მკითხველმა განმიმტკიცა, გააჩნია, როგორ ჩაწვდებიან იმას, რასაც სთავაზობ და დავრწმუნდი, რომ ვინაიდან მიმაქვს მკითხველამდე სწორად, ესე იგი მეტნაკლებად სწორადაც გამომდის წერა.



**- როგორ აღიქვამთ საკუთარ ლექსებს, როგორც დიალოგს სამყაროსთან თუ მედიტაციას, თვითრეალიზაციაში რომ გეხმარება?**

- ვფიქრობ, უმეტესწილად იმ სიღრმეში შევყავარ, რასაც სამყაროსთან შერწყმა ჰქვია. ზოგადად, ლექსი ფილოსოფიაა. ჰოდა, ამაში რომ წვლილს შეიტან კაცი, მეტი რაღა გინდა!

**- „მოათოვლფიფქებს“ - ეს სიტყვა თქვენი ლექსიდანაა, საინტერესო ნეოლოგიზმია, სიტყვათა ასეთ შეთანწყობას შეგნებულად მიმართავთ თუ თავისთავად მოდის?**

- ხდება ისეც, რომ თავისთავად მოდის. ეს მხოლოდ მარტივი სიტყვების რთულ სიტყვად გარდაქმნა არაა. ხშირად არა, მაგრამ ხანდახან თავისით მოდის ოკაზიონალური სიტყვები, ხანდახან სჭირდება ფიქრი. მაგალითად, დიდი დრო წამართვა ლექსში აზრმა, როგორიცაა დამპალი და ძველი იატაკი. ამაზე ფიქრმა მოიტანა სიტყვა „იატაკსამატლე“. ზოგადად, ეს ლექსმა უნდა მოიტანოს.

**- „ღმერთმა კუდი განა იმიტომ არ მომცა, რომ დაენანა ჩემთვის?“ეს თქვენი ფრაზაა, როცა ფარისევლებსა და მლიქვნელებზე წერთ, ანუ უკომპრომისო ხართ...ასეა?**

- კი, ნამდვილად, სტუდენტობისდროინდელი ჩანაწერია ეს. მახსოვს, ფსიქოლოგიის რვეულის უკანა გვერდზე წავაწერე, მაგრამ გამყვა ცხოვრებაში.

**- რაც უფრო ღრმად ვცდილობთ სიცოცხლის არსში წვდომას, მით უფრო იდუმალი ხდება იგი. როგორ რეაგირებთ ყოველივე ამაზე?**

- სიცოცხლე რადგან ერთჯერადია, რადგან მეორედ მომსვლელები არ ვართ და არც არავინ მოგვიყვანა, სწორად ცხოვრებისთვის საკმარისია ერთჯერადი სიცოცხლე. ძალიან ბევრი გზა იხლართება და გამუდმებით სწორი გზის ძიებაში ვართ.

**- ძველ ტრადიციებს ვივიწყებთ, ახალი კი, ჩვენთვის უცხო, ფეხს იკიდებს... რა უკუვაგდოთ, რა შევინარჩუნოთ, რა დავამკვიდროთ?**

- მეტ-ნაკლებად ვივიწყებთ ძველს, გეთანხმებით! კაცობრიობის ისტორიაში ადამიანი ყოველთვის ახლის ძიებაშია. არსებობს ძველი, რაც ადამიანმა თუ არა, დრომ გამოგვტაცა და ისევ ახლით გვივსებს. არ ვიცი, ნამდვილად, რისი ამოღება-დავიწყება შეიძლება.

**- ადამიანის პიროვნება ადამიანური ღირსების გრძნობიდან იწყება, ეროვნული ღირსებაც... მისი დეფიციტი დღეს საგრძნობია. გამოსავალი?**

- ჩვენი ყველაზე დიდი მინუსი არის ის, რომ გვავიწყდება ჩვენი მისია. არ ვართ ჩვენ ერთად და ეს დასანანია. ყველა ვართ მართლები, ყველა ვართ ჭკვიანები, ყველა ვართ ძლიერები... მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვნახავთ, რომ არ ვყოფილვართ ისეთი ძლიერები, ჭკვიანები და მართლები. ერთად დგომა არ ვიცით.

**- ძალადობამ იმატა ჩვენს საზოგადოებაში. ყველაზე დიდ ძალადობად რა მიგაჩნიათ?**

- დიდი ძალადობაა სიზარმაცე. ეს გბოჭავს და გკლავს.

**- როცა ბუნებაში ხართ... როგორ ფიქრობთ, ისწავლა ადამიანმა ბუნების წიგნის კითხვა?**

- არა. ადამიანი ვერასოდეს ისწავლის ბუნებას. ხომ გახსოვთ, ვაჟა-ფშაველამ „შვლის ნუკრის ნაამბობი“ დაწერა ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ, როცა შველი მოუკლავს და აღმოაჩინა, რომ ნუკრი დარჩენია შველს. ჩვენ ბუნებას ვკითხულობთ დაგვიანებით.

**- როგორ ფიქრობთ, როგორი იქნებიან მომავლის ადამიანები და, საერთოდ, როგორ გესახებათ კაცობრიობის მომავალი?**

- ძალიან ცივილიზებულად, განვითარებულად.

**- ადამიანი ყველაფრისთვის ემზადება, ქორწილი იქნება ის თუ სხვა საზეიმო დღე, სიკვდილისათვის კი არა... „Memento mori“ - დავივიწყეთ ეს შეგონება?**

- მე მყავდა მეგობრები, რომლებიც წინათგრძნობლური ნიჭით ელოდნენ სიკვდილს და აუხდათ, სამწუხაროდ. ყოველნაირ უიმედობაში იმედიანად ვართ გულის სიღრმეში და ამიტომ არ ვფიქრობთ სიკვდილზე, მაგრამ ჩოხელისა არ იყოს, ადამიანად ყოფნა სევდაა... უფრო სწორად, არ გვჯერა მხატვრული ხერხების, თორემ სიცოცხლე სიკვდილის მხატვრული ხერხია.



**- მომრავლებული, უცხოური, მდარე სერიალების გარემოცვაში ცხოვრობს დღეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი, ერზაცკულტურის მოძალება იგრძნობა...**

- მე, მაგალითად, ყველაზე ცუდი ლიტერატურა მირჩევნია ყველაზე კარგ სერიალს. არ ვიცი, რა გიპასუხოთ ამ კითხვაზე, სულ რომ რა იყოს, „საპნის ოპერა“ ჰქვია.

**- თქვენი ყველაზე საყვარელი ნავსაყუდელი, სადაც წერთ, ქმნით, მუშაობთ... ვინ არიან თქვენი საყვარელი ადამიანები?**

- მიყვარს სიმარტოვეში წერა. ჩემი საყვარელი ადამიანები არიან ჩემი შვილები, ჩემი ოჯახი... მიხარია, რომ ისეთი ადამიანების გვერდით ვარ, სადაც მინდა, რომ ვიყო.

**- რას უნდა ველოდოთ თქვენგან მომავალში?**

- დიდს ვერაფერს დაგპირდებით. ვმუშაობ რომანზე.

# „აგრარული ფორუმი - 2022“

პირველი გვერდიდან

ყურადღებას გავამახვილებთ ტრადიციულ დარგებზე, როგორიცაა მეციტრუსეობა ჩვენი რეგიონისთვის, ასევე ალტერნატიულ მიმართულებებზე, კენკროვანი კულტურების წარმოებაზე, მოცვი, ჟოლო და ა.შ. ასევე იმათზე, თუ რა მიღწევები გვაქვს მეცხოველეობის მიმართულებით, იგივე მეკალმახეობას, იცით, რომ ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობა, ჯარას თაფლის წარმოება რამდენად მნიშვნელოვანია და ჩვენ ხელს ვუწყობთ ამას მიზნობრივი პროგრამებით, უკვე ექსპორტზე რეალიზდება და ძალიან ცნობილია. ფორუმის ფარგლებში ხდება ახალი კონტაქტების დამყარება მეწარმეებს შორის, ცნობადობის ამაღლება. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენ ორ სესიად გვქონდა დაყოფილი ღონისძიება. პირველი ნაწილი იყო უშუალოდ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე უჩა სურმანიძემ წარმოადგინა. ასევე, პრეზენტაცია - სოფლად ტურიზმი აჭარაში - წარადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე თინა ზოიძემ, „აგროპროექტები წარმატებული სოფლისათვის“ კი სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ილია თამარაშვილმა.

მეორე სესიაში გვყავდა 6 გამომსვლელი, რომლებმაც ჩვენი რეგიონისთვის აქტუალურ მიმართულებებზე წარადგინეს პრეზენტაციები, - გვითხრა ირმა აფხაზავამ.

მინისტრის მოადგილის თქმით, ჩვენს რეგიონში ყოველწლიურად იზრდება მოცვის კულტურით დაკავებული ფართობები, რაც უკავშირდება მის რენტაბელობასა და ჩვენი რეგიონის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაციას. როგორც მან აღნიშნა, ლურჯი მოცვის წარმოებასა და გადამუშავების შესაძლებლობებზე ფორუმზე ისაუბრა კომპანია „ნომას“ მარკეტინგის მენეჯერმა ზანდა მესხიძემ.

- რეგიონში ალტერნატიული კულტურების გაშენებით არაერთი სუბიექტი არის დაინტერესებული და ფორუმზე წარსდგა ჰოლანდიური კომპანია „მოსტაგროს“ წარმომადგენელი საქართველოში ბესიკ ლაგვილავა, რომელმაც ისაუბრა ჯინჯერის კულტურის შესახებ. ჩვენი რეგიონისთვის დამახასიათებელი წყალუხვი მდინარეები შესანიშნავ მოცემულობას ქმნის მეკალმახეობის განვითარებისათვის. მართალია, დღეს აღნიშნულ დარგში ბევრი გამოწვევაა, მაგრამ ვცდილობთ, როგორც სამინისტროს საბიუჯეტო პროგრამების, ასევე, დონორი ორგანიზაციების ჩართულობით, ავამაღლოთ ფერმერთა ცნობიერება, გავზარდოთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან წვდომა და გავიზიაროთ წამყვანი ქვეყნების გამოცდილება. ფორუმს დაესწრო თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ტრაპიზონის აკვაკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბატონი მუჰამედ დოღანი. რეგიონში მეფუტკრე ფერმერთა არაერთი ასოციაცია ფუნქციონირებს, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი თაფლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ახალი ბაზრების ათვისებაზე. ფორუმზე წარსდგა ჯარას მეფუტკრე ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი ასლან შაქარაძე. მოგეხსენებათ, დღეისათვის მეთხილეობის სექტორში ყველაზე დიდ გამოწვევას მისი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და შენარჩუნება წარმოადგენს, რომელშიც დიდ როლს თამაშობენ ფერმერთა გაერთიანებები. ისინი უზრუნველყოფენ შესაბამისი პრაქტიკული ცოდნის და უნარ-ჩვევების დანერგვას. „აგრარული ფორუმი - 2022“-ზე ასევე სიტყვით წარსდგა საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი თოდუა, - გვითხრა ირმა აფხაზავამ.

ღონისძიების პარალელურად გაიმართა გამოფენაც, სადაც ადგილობრივ მეწარმეებს თავიანთი პროდუქცია ჰქონდათ წარმოდგენილი და სტუმრებს შეეძლოთ დაგემოვნება. ჩვენს კითხვებს უპასუხა „აგრარული ფორუმი - 2022“-ის მონაწილემ, ინდივიდუალურმა მეწარმემ ნინო გაბრიაძემ.

- როგორ ფიქრობთ, მსგავსი ფორუმები რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეებისათვის?

- მსგავსი ფორუმები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეწარმეების საქმიანობაში. ფორუმზე ხდება სწორედ მეწარმეების პროდუქციის გაცნობა და დაგემოვნება, რის შემდეგაც ინტერესდებიან სამომავლო თანამშრომლობით სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები.

- თქვენ მეწარმის სტატუსით სარგებლობთ?

- ოთხი წელია, ინდივიდუალურ მეწარმედ ვარ რეგისტრირებული.

- აგრარულ ფორუმზე რომელი პროდუქცია გამოიტანეთ?

- წარმოვადგინე საკუთარი ბრენდის ქვეშ წარმოებული „ნინოს მშრალი ხილი“ - ჩურჩხელები და ჩირი. ჩემს პროდუქციაში მაქვს მანდარინის წვენით დამზადებული ჩურჩხელა, ეს პროდუქტი ჩვენი სავიზიტო ბარათია, ყველამ შეიყვარა.

- ყოველწლიურად აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს მეწარმეთა და ფერმერთა ხელშეწყობის სხვადასხვა პროგრამა. თუ გისარგებლიათ რომელიმე მათგანით და რაში დაგეხმარათ იგი?

- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებში მიმიღია მონაწილეობა. ამ პროგრამით მივიღე ჩემი საწარმოსთვის საჭირო ინვენტარი. ასევე მისარგებლია კენკროვნების პროგრამით, რისი საშუალებითაც გავაშენე ჩემი ფერმერული მეურნეობა - გოჯის და ჟოლოს ბაღი.

- რას ურჩევდით დამწყებ მეწარმეებს?

- დამწყებ მეწარმეებს ყოველთვის ვურჩევ, გადადგან ნაბიჯი, ნუ შეეშინდებათ რისკის და სცადონ თავიანთი იდეების განხორციელება. დღევანდელ პერიოდში არის ძალიან კარგი შესაძლებლობები დამწყები და მოქმედი მეწარმეებისათვის. არის სახელმწიფო პროგრამები და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო პროექტები. ვფიქრობ, ეს შესაძლებლობები სწორად უნდა გამოიყენოს ყველა პოტენციურმა ბენეფიციარმა.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2$^{ა}$
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/10/22, 21$^{20}$ სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „ნიჭიერი ადამიანები არ უნდა დაიკარგონ“

## ბათუმის მუსიკალურ ცენტრში „მუსიკალური რინგი“ ნოემბერში გაიმართება

**ფიქრია დავლაძე 597 25 25 72**

*მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან 6 სექტემბრის ჩათვლით, ასევე სექტემბრის ბოლო ექვსი დღის განმავლობაში ბათუმის მუსიკალურ ცენტრში „მუსიკალური რინგი“ გაიმართა, რომელშიც არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა*

*კონკურსში ჩაერთო როგორც დამწყები, ასევე უკვე გარკვეული გამოცდილების მქონე, მაგრამ არაცნობადი მუსიკოსი. დიდ სცენაზე გამოსვლა მათ უდავოდ, დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენასა და პოპულარობის მიღწევაში. ეს საინტერესო სიახლე მუსიკალურ ცენტრში დირექტორ გიორგი მიქელაძისა და მთავარ ადმინისტრატორ ჯაბა სალუქვაძის ორგანიზებით განხორციელდა.*

*თუ რა კონკურსია „მუსიკალური რინგი“, ვინ მონაწილეობს და რა პრინციპით იმართება, დეტალურად* ***ჯაბა სალუქვაძე*** *გვესაუბრება.*



**- ბატონო ჯაბა, როგორ გაგიჩნდათ „მუსიკალური რინგის“ იდეა?**

- ჩვენი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დამწყები მუსიკოსებისთვის, მსახიობებისთვის მიგვეცა შესაძლებლობების უკეთ გამოვლენის საშუალება. მათთვის, ვისაც მეტნაკლებად არ აქვს იმის საშუალება, რომ სასცენო პერფორმანსებით იყვნენ დატვირთულები, სწორედ ჩვენ მივეცით ამის შესაძლებლობა. ვფიქრობ, რომ ნიჭიერი ადამიანები არ უნდა დაიკარგონ, ეს ახალგაზრდები აუცილებლად უნდა იხილოს აუდიტორიამ. მოქმედება ხდება სცენაზე, სადაც ოთხივე მხრიდან ზის მაყურებელი. დავიწყეთ სექტემბერში და მინდა გითხრათ, რომ დიდი მოწონება დაიმსახურა პირველივე დღიდან, გამოხმაურებაც მოჰყვა. რინგი თვეში ორჯერ, ექვსექვსი დღე, თვის დასაწყისსა და ბოლოში გაიმართა. ადრეც გვქონდა მსგავსი პროგრამა, მას „სცენაზე“ ერქვა, რომელიც თვეში ერთხელ იმართებოდა, მაგრამ ყველაფერი დარბაზში ხდებოდა. ამჯერად ფორმატი შეცვლილია და შედეგად მუსიკოსსა და მაყურებელს შორის უფრო მჭიდრო კავშირია.

**- იდეის განხორციელებაში ვინ გეხმარებათ?**

- იდეა ჩვენია, ახალგაზრდების პოვნაში, ორგანიზებაში გვეხმარება ყველასთვის ცნობილი მომღერალი ნიკო ბერიძე. არის შემთხვევები, როდესაც თავადაც ვპოულობ ნიჭიერ მომღერლებს სხვადასხვა კაფეში. ერთ-ერთი წარმატებული მონაწილე სწორედ კაფე-ბარში ვნახე და არ დავაყოვნე - ავუხსენი, ვინც ვარ და მოვლაპარაკდით. მან მონაწილეობა მიიღო სექტემბრის ლაივკონცერტში. ასევე სხვა უნიჭიერესი მონაწილეებიც მოვარგეთ სასცენო ფორმატს და მშვენივრად გაართვეს თავი. რინგის ბილეთებს მინიმალური ფასი - 10 ლარი დავადეთ, რათა ნებისმიერმა მსურველმა შეძლოს მათი შეძენა.

**- გარდა იმისა, რომ სცენაზე გამოდიან, კიდევ რა გზებით ახერხებთ კონკურსანტების პოპულარიზაციას?**

- თითოეულ ლაივკონცერტს ვიღებთ. ჯგუფს, რომელიც პირველად გამოდის სცენაზე, ჩვენგან უმაღლესი ხარისხის აუდიოჩანაწერი საჩუქრად გადაეცემა. ეს საკმაოდ დიდი წახალისებაა მუსიკოსისთვის. საზღვრები დაწესებული არ გვაქვს. კონკურსში მონაწილეობენ როგორც ბათუმელი მუსიკოსები, ასევე თბილისელი და სხვა ქალაქებში მცხოვრები ნიჭიერი ახალგაზრდები. მაქსიმალურ პიარს ვაკეთებთ ლაივების, ფეისბუქგვერდის, ტელევიზიების, პრესის მეშვეობით, რისთვისაც მედიის მადლობელი ვარ.

**- თუ ყოფილა კონკურსანტებიდან ვინმეს ფართო ასპარეზზე გასვლის, ანუ თქვენი დახმარებით მეტი პოპულარობის მოპოვების შემთხვევა?**

- ჩვენი წინადადების მიღების შედეგად ბევრი ახალგაზრდა გამხდარა პოპულარული. მათი კარიერა წინ წავიდა და ჩვენ ვართ ამის ერთ-ერთი მიზეზი. ერთი საღამოს შემდეგ, რომელიც ჯგუფ „ბაბილონთან“ ერთად გავაკეთეთ, მისი სოლისტი სალი ბეთი ძალიან პოპულარული გახდა. მგონი, ყველაზე ბევრი ნახვა აქვს მის მუსიკალურ ჩანაწერებს საქართველოში. ასევე სამი-ოთხი ჯგუფის დასახელება შემიძლია. არ შეიძლება არ ვთქვა ლიო ჩხეიძეზე, იგი ძალიან განსხვავებული მონაწილე აღმოჩნდა. მონაწილეებს შორის იყვნენ ირაკლი ცხოვრებაძე, გიორგი მურუსიძე, - ისინი საავტორო მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულები იყვნენ. მაყურებელი მოინუსხა მათი შემოქმედებით, ფანტასტიკური ვოკალური მონაცემებით.

**- როდის გაიმართება მორიგი, „მუსიკალური რინგი“?**

- „რინგი“, სამწუხაროდ, ვერ მოეწყობა ოქტომბერში, რადგან ბათუმის მუსიკალურ ცენტრში ბევრი ღონისძიებაა დაგეგმილი. აქედან გამომდინარე, ვგეგმავთ რინგის ნოემბერში გადატანას.

**- ფორმატის შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

- „მუსიკალური რინგი“ ნოემბერში იმავე ფორმატით გაიმართება, როგორც ეს მოხდა სექტემბერში. იანვარში ვგეგმავთ ფორმატის შეცვლას, იქნება შეჯიბრი მონაწილეებს შორის. ავირჩევთ ორ ჯგუფს, რომლებიც ერთი საათის განმავლობაში თავიანთ ნაწარმოებებს შეასრულებენ, ჟიურის წევრები შეაფასებენ და გამოავლენენ გამარჯვებულებს. ძალიან მიხარია, რომ ღონისძიების დაწყების შემდეგ ბევრი შეთავაზება მივიღეთ, მათ შორის მუსიკოსებისგანაც.





# მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები - აჭარის მთიანეთში

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

*მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დურმიშხან შავიშვილი ქედის საჯარო სკოლების პედაგოგებსა და დირექტორებს შეხვდნენ*

მათ მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცეს და მადლობა გადაუხადეს მომავალი თაობის აღზრდისთვის გაწეული მუშაობისთვის.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა წარმატებულ პედაგოგებსა და საჯარო სკოლების დირექტორებს ფასიანი საჩუქრები გადასცა.

მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქედის კულტურის სახლში კონცერტით აღინიშნა, რომელშიც ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები: „ბეთლემი“, „ელესა“, „იაგუნდი“, ფოლკლორული ბენდი, მომღერალი ირინა დევაძე, აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ და პოლონეთის ქვემო სილეზიის ვოკალური ანსამბლი „ჰეიშოვინა“ მონაწილეობდნენ.



- ვულოცავ ყველა მასწავლებელს პროფესიულ დღეს, თქვენი უმნიშვნელოვანესი მოვალეობის ღირსეულად შესრულებას და წარმატებული თაობების აღზრდას გისურვებთ, - თქვა როლანდ ბერიძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეს გაიმართა ქედასთან დამეგობრებული პოლონეთის ანსამბლ „ჰეიშოვინას“ ქართულ-პოლონური კულტურის ფესტივალი. პოლონელი სტუმრების მიერ ქართულად შესრულებულმა „სულიკომ“ და „თბილისომ“ განსაკუთრებული ოვაცია და მოწონება დაიმსახურა.



* * *

შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სპმთ-ის რაიონული საბჭოს ორგანიზებით, მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეკრება გაიმართა, რომელზეც მოწვეული იყვნენ მენტორი და წამყვანი პედაგოგები. მათ პროფესიული დღე მიულოცეს და მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, მერის მოადგილეები გურამ ზოიძე, რუსუდან შავაძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე, სპმთპ-ის შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარიძე, პედაგოგები, სკოლების დირექტორები და სხვები.

- შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა როლისა და ავტორიტეტის ამაღლება, მომავალი თაობის აღზრდაში მათი წვლილის დაფასება, - თქვა ომარ ტაკიძემ.

შეკრების მონაწილე 70 პედაგოგს ფასიანი საჩუქრები გადაეცა.

კვირეული დაუვიწყარი იქნება შუახევის საჯარო სკოლის დირექტორ მზია გოგაძისთვის, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. მზიას დიპლომი და სამკერდე ნიშანი მაია ხაჯიშვილმა გადასცა და აღიარება მიულოცა.

- ეს წოდება ჩემი შრომის დაფასებაა, - თქვა მზიამ.

შეკრებაზე გაცხადდა, რომ მაწყვალთის საჯარო სკოლის პედაგოგ როინ ნაკაიძეს მენტორი მასწავლებლის სტატუსი მიეკუთვნა.

* * *

მიმდინარე წელს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მეკეიძეების საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი როლანდ შავაძე გახდა.

- ყველა მასწავლებელს გაწეული ამაგი ჩემსავით დაფასებოდეს, - თქვა „აჭარასთან“ სატელეფონო საუბარში როლანდ შავაძემ.